საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 4 ივლისი, 2015 წელი.

№123 (7768)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჯდვური სიფყვაა, ფყუილებით და ჯორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დამნაშავეთა სილაღე და ბრალმდებელთა სიზანტე

„თუ კეზერაშვილი სადმე გამოჩნდება, საკუთარი ხელით ვესვრი!..“ ④

საკაშვილისა და ადეიშვილის ჩანაწერზე პროკურატურამ გამოძიება უნდა დაიწყოს ③

პორტრეტი პოლიტიკური მაკიაჟის გარეშე

ქვეგუდანთა გალერეა ⑧

მუზეუმი და ექსპონატები ფულში გასცვალეს ⑤

ზარალის ანაზღაურების წესის ორი ვარიანტი მომზადდა ②

გამოკითხულ დევნილთა 88,3 პროცენტს დაბრუნება სურს ③

„ვერემ წლები გვაცალა და შემდეგ თავისი ტერიტორიები უკან დაიბრუნა... ⑨

საქართველო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებულ ქვეყნად მიიჩნევა ③

გვახსოვდეს ცხრა ძმა ხერხეულიძე

მარაბდის ომის გახსენება ⑤

კვირაძაღს საკითხავი

რატომ ჩაიშალა მოსკოვური ტელეპრემიერა ⑥

ცხოვრება სტრიქონებში და სტრიქონებს მიღმა ⑦

პრემიერი სტიქიის სალიკვიდაციოდ გაწეული დანახარჯებისთვის ყველას მადლობას უხდის

„მინდა, აღვნიშნო მადლიერებით ის შემოწირულობები, კონტრიბუციები, რომელიც გასწიეს სხვადასხვა სახელმწიფოებმა, ბიზნესმენებმა, როგორც ქართველმა, ასევე უცხოელებმა. გუშინ მაცნობეს, რომ საუდის არაბეთის პრინცმა, რომელიც ჩამოსული იყო თბილისში რამდენიმე კვირის წინ, დაზარალებულებს გადმოურიცხა 300 000 დოლარი. ამიტომ, მე მინდა, მთავრობის სახელით მადლობა გადავუხადო მას, ასევე ყველა იმ ბიზნესმენს, ბანკებს, ფიზიკურ პირებს, დიასპორის წარმომადგენლებს, რომლებმაც სერიოზული დახმარება გაგვიწიეს და, რაც მთავარია, გვერდში დაუდგნენ სახელმწიფოს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

„მე მინდა, გამოვყო რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები, რომლებიც დაგვიკავშირდნენ. მე პირადად მქონდა საუბარი თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ევროკავშირის წარმომადგენლებთან. რუსეთიდან იყო ასევე შემოთავაზება, ასევე დამირეკეს უკრაინიდანაც. ასე რომ, მე მინდა, ყველას ვუთხრა მადლობა ამ დახმარებისთვის და შემოთავაზებისთვის. მძიმე მომენტში, როდესაც ჩვენ გვიჭირდა, მეზობელი სახელმწიფოების დახმარება ნიშნავს ძალიან ბევრს. მთავრობის სახელით მინდა, ყველას მადლობა ვუთხრა“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულების დაბინავება მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა დასრულდეს.

„მე მინდა, ვუთხრა საზოგადოებას, რომ მთავრობა ჩართულია და ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს დაზარალებული მოსახლეობის განსახლების გეგმას და მათ დაბინავებას. მე მინდა, რომ ეს მაქსიმალურად მოკლე ვადებში დასრულდეს. გვესწრება ქალაქის მერი დავით ნარმანია და მე ვიცი, რომ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რაც შეიძლება მოკლე ვადებში დასრულდეს დაბინავებისა და განსახლების პროცედურები. ყველა ოჯახი, ვინც დაზარალდა ამ სტიქიის შედეგად, უნდა დავაბინავოთ, ახალი სახლები შევუძინოთ, ვისაც სჭირდება, გავურემონტოთ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ზარალის ანაზღაურების წესის ორი ვარიანტი მომზადდა

დედაქალაქის ხელისუფლებამ მოსახლეობასთან შეთანხმებით, სტიქიის ზარალის ანაზღაურების ორი ვარიანტი შეიმუშავა, – ამის შესახებ თბილისის საკრებულოში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ რიმა ბერაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, მერიის წარმომადგენლებთან ერთად იგი მონაწილეობდა 13 ივნისის სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის ზიანის ანაზღაურების წესის შემუშავებაში. ამ წესის პროექტი, გუშინ გვიან ღამით დაზარალებულ მოსახლეობასაც გააცნეს. ბერაძის თქმით, მათ შეიმუშავეს ორი ვარიანტი: პირველი ვარიანტის მიხედვით, კომპენსაცია მოხდება სულადობით. ასეთი პირებისთვის თანხა გაიცემა საცხოვრებელის შესაძენად. მათ გადაეცემათ ასევე 10.000 ლარი პირველადი ნივთების შესაძენად. მეორე ვარიანტის მიხედვით კი, მოხდება დაზარალებულთა ქონების საბაზრო ღირებულებით თანხობრივი ანაზღაურება და ეს ქონება შემდეგ გადაეცემა მერიას.

„ჩვენი აზრით, მიღებული იქნა ისეთი დოკუმენტი, რომელიც არის უპრეცედენტო, რადგან პირველ ვარიანტში მოსახლეობას დამატებით მიეცემა 10 000 ლარი, ამავდროულად ჩვენ გადავწყვიტეთ ასე, რომ შეგვეფასებინა, რა ღირდა მიწის ნაკვეთები და საცხოვრისები სტიქიამდე. 1 კვ. მ შეფასდა 1000 დოლარად. მაგალითად, თუ ორსულიან ოჯახს ეკუთვნის 45 კვ. ბინის ფართი, ჩაერიცხება 45 ათასი დოლარი პირად ანგარიშზე და ამ თანხით ის უზრუნველყოფს მისთვის სასურველი ბინის შეძენას. მეორე წესის მიხედვით კი, მოხდება დაზარალებულთა ქონების საბაზრო ღირებულებით ანაზღაურება“, – აღნიშნა რიმა ბერაძემ.

მისივე თქმით, მოსახლეობა თავად აირჩევს, თუ რომელი ვარიანტი იქნება მისთვის სასურველი. ზოგიერთ შემთხვევაში მეორე წესს დაქვემდებარებული დაზარალებული ოჯახები ზარალდებოდნენ, მეორე წესის გამოყენების შემთხვევაში – პირველ წესს მიკუთვნებული ოჯახი ზარალდებოდნენ, ამიტომ ავიღეთ ორივე წესი. ზოგიერთმა სტიქიის შედეგად დიდი ქონება დაკარგა. რამდენიმე ასეულ კვადრატულ მეტრ მიწის ფართობს ფლობდა. შესაბამისად, მათ ქონება უნდა აუნაზღაურდეთ.

რიმა ბერაძემ საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ დღეისთვის 25 მილიონი ლარი შეგროვდა, ამ თანხების განკარგვა აისახება თბილისის მერიის ვებგვერდზე, თანხების ნაწილი სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენასაც მოხმარდება. მისივე თქმით, სტიქიამ 161 ოჯახი დააზარალა, 19 გარდაცვლილია, 3-ს კი დღემდე ეძებენ.

◎ დაუბეგრავი მინიმუმი

447 215 მოქალაქეს 122 960 752 ლარი უკვე დაუბრუნდა

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, დაუბეგრავი მინიმუმით მოსარგებლე პირთათვის კუთვნილი თანხის დაბრუნების პროცესი მაქსიმალურად მოკლე ვადაში წარიმართა. 3 ივლისის მონაცემებით, ყველა ფიზიკურ პირს, რომელიც დაუბეგრავი მინიმუმის მოთხოვნით, შემოსავლების სამსახურის ბაზაში დარეგისტრირდა, კუთვნილი თანხა უკვე დაუბრუნდა. შესაბამისად, საქართველოს 447 215 მოქალაქეს დაუბეგრავი მინიმუმის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საერთო ჯამში ჩაერიცხა 122 960 752 ლარი. ამასთან, დღეიდან 30 სექტემბრის (დეკლარაციის წარდგენის ბოლო დღე) ჩათვლით რეგისტრირებული ელექტრონული დეკლარაციების მიხედვით, მოსარგებლე პირს თანხა დეკლარაციის წარდგენიდან 2 დღის ვადაში დაუბრუნდება.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, დაუბეგრავი მინიმუმით გათვალისწინებული თანხის დაბრუნება საგადასახადო კანონმდებლობით დეკლარაციის შევსებიდან 3 თვის შემდეგ არის გათვალისწინებული. „მიუხედავად ამისა, გათვალისწინებულ იქნა თანხის მიმღები მოქალაქეების სოციალური სტატუსი, მათ კუთვნილი თანხა უმოკლეს ვადაში მიიღეს. აღსანიშნავია ისიც, რომ თანხის სწრაფი და ეფექტური გაცემა განხორციელდა სპეციალური გეგმის მიხედვით და მას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე. მეტიც, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2015 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით შესრულებულია გადაჭარბებით“, – აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.

შემოსავლების სამსახური კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ დაბრუნების პროცესი შეეხება ყველა მოქალაქეს, რომლის მიერ 2014 წელს მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 6 000 ლარს. ამ მოქალაქეებს უფლება აქვთ, შესაბამისი კალენდარული წლის მიხედვით ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითონ დაუბეგრავი მინიმუმი – 1800 ლარი – და მოითხოვონ აღნიშნულზე გადახდილი შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნება. კერძოდ, თუ მოქალაქის მიერ 2014 წელს მიღებული ერთობლივი შემოსავალი 1800-დან 6000 ლარამდეა, მას უფლება აქვს მხოლოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან დაიბრუნოს 360 ლარი, ხოლო თუ 1800 ლარამდეა, დაბრუნებას ექვემდებარება (მხოლოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან) კონკრეტული თანხის 20 პროცენტი.

ძალაში რჩება ასევე 2013 კალენდარული წლის მიხედვით ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალზე დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლებაც.

გიგა კეთილაძე

◎ ინფორმაცია

2015 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის მაჩვენებელი საშემოსავლო ნაწილში გადაჭარბებით შესრულდა

ამის შესახებ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, გადაჭარბება 252 მილიონ ლარს შეადგენს, ნომინალში კი მთელმა თანხამ 4 მილიარდ 787 მილიონი ლარი შეადგინა.

გადაჭარბების პროცენტული მაჩვენებელი 5,9%-ს შეადგენს, რაც ძალიან მაღალი შესრულების მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით. საგადასახადო შემოსულობების ნაწილში სახელმწიფოს ბიუჯეტი ასევე შესრულებულია გადაჭარბებით 76,9 მილიონი ლარით. გადაჭარბება შეადგენს დაახლოებით 2%-ს ექვსი თვის გეგმასთან მიმართებაში, ხოლო წლიურ გეგმასთან მიმართებაში ეს 47%-ია, ხოლო იმ გეგმასთან მიმართებაში, რომელიც ინიცირებულია უკვე პარლამენტში ცვლილებების სახით – 48,4%. ესეც ძალიან მაღალი მაჩვენებელია ექვსი თვის მდგომარეობის.

საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეებსაც დაასწრებენ

ნებისმიერ პირს უფლება ექნება, წინასწარი შეტყობინების, ან ნებართვის გარეშე საკრებულოს და საკრებულოს კომისიის ღია სხდომებს დაესწროს.

საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფას „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტს მთავრობამ წარუდგინა.

პროექტით, იმ შემთხვევაში, თუ სხდომაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა გამოყოფილ ადგილების რაოდენობაზე მეტია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ვალდებული იქნება, უზრუნველყოს მათ ხელთ არსებული იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომელიც სხდომაზე დასწრების მსურველებს საშუალებას მისცემს, სხდომის მსვლელობას მოუსმინონ.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომაზე დამსწრე პირს წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, უფლება ექნება, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება და წარადგინოს ინფორმაცია.

ასევე, კოდექსში დაგეგმილი ცვლილებებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში – გამოვიდეს მომხსენებლად ან თანამომხსენებლად, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვის დებატებში.

◎ ალიან-ჩალიანი

სემეკმა მოქალაქეებს უსაფუძვლოდ დარიცხული 700 ათას ლარზე მეტი ჩამოაწერა

2015 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით, სემეკის მომხმარებელთა საჩივრების დეპარტამენტში შესული მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე განხილილული საკითხებიდან, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში კომპანიების მხრიდან უსაფუძვლოდ დარიცხული და კომისიის მიერ ჩამოწერილი თანხების ოდენობამ 746 207.45 ლარი შეადგინა. მათ შორის, ხანდაზმული დავალიანებების ოდენობა 93,270,45 ლარით განისაზღვრა.

სემეკის ინფორმაციით, სექტორების მიხედვით, ჩამოწერილი თანხების ყველაზე დიდი ოდენობა ელექტროენერგეტიკის სექტორში დაფიქსირდა - 628 321.65 ლარი.

კომისია შეახსენებს მოქალაქეებს, რომ იმ შემთხვევაში თუ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების მხრიდან ადგილი აქვს მათი უფლებების დარღვევას, მიმართონ სემეკს ან სემეკთან არსებულ ენერგოომბუდსმენის სამსახურს.

საგამოძიებო სამსახური ბელარუს კოლეგებს მასპინძლობს

საგამოძიებო სამსახურის მოწვევით, ორდღიანი სამუშაო ვიზიტით თბილისში ბელარუსის დელეგაცია იმყოფებოდა.

ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ფინანსური საგამოძიებო დეპარტამენტის დირექტორს იგორ მარშალოვს და ამავე კომიტეტის ფინანსური საგამოძიებო დეპარტამენტის ოპერატიულ ანალიტიკური სამმართველოს უფროსს იური მეხედოვს ქართველი კოლეგები ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მასპინძლობდნენ.

ქართულ მხარეს საგამოძიებო სამსახურის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი ხელმძღვანელობდა.

უწყების ინფორმაციით, ორდღიანი სამუშაო შეხვედრების ფორმატში ბელარუსმა და ქართველმა სამართალდამცავებმა ფისკალური და საგადასახადო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე იმსჯელეს, განიხილეს ეკონომიკური დანაშაულის გამოვლენის პროცესში ოპერატიულ-ტექნიკური მექანიზმების გამოყენების საშუალებები, ისაუბრეს სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი უწყებების მიერ კოორდინირებული საქმიანობისას უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურ მნიშვნელობაზე.

◎ კვლევა კარგია, მაგრამ... საძმეა მთავარი!

გამოკითხულ დევნილთა 88,3 პროცენტს დაბრუნება სურს

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დაკვეთით ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა გააქარწყლა მითი იმის შესახებ, რომ ახალ თაობას არ სურს დაბრუნება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. კვლევა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დაკვეთით სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა ჩაატარა. კვლევამ მიზნად დაისახა დევნილებისთვის მიეცათ საშუალება გამოეხატათ თავიანთი მოსაზრებები და პოზიცია ნებაყოფლობით დაბრუნებასა და ალტერნატიულ გრძელვადიან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 88,3%-ს სურს, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ადგილას, თუ ამის შესაძლებობა და მათთვის მისაღები პირობები ექნებათ. ამასთან, 2,6% მზად არის, ნებაყოფლობით დაბრუნდეს დღეს არსებული გარემოებების პირობებში, მხოლოდ გამოკითხულთა 6% აცხადებს, რომ მათ არ სურთ დაბრუნება.

განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ეს კვლევა დაეხმარებათ შემდგომში პრიორიტეტების დასახვისთვის, თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაონ.

კონკრეტულად რამდენიმე ციფრს გავუსვამ ხაზს, თუ რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. პირველი – აბსოლუტურ უმრავლესობას დევნილებისა სურს ნებაყოფლობითი დაბრუნება, მხოლოდ 6% ამბობს, რომ მათ დაბრუნება არ სურთ. ჩავთვალოთ ეს ის 6%-ია, რომელიც დღეს უკეთესად მოეწყო თბილისსა თუ საქართველოს სხვა კუთხეებში. ასე რომ, მრავალჯერ დასმული კითხვა და მითი, რომ ახალი თაობა წამოვიდა და მათ არ სურთ უკან დაბრუნება, ამ კვლევით არის გაქარწყლებული და ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე თქმით, მეორე მნიშვნელოვანი შედეგი კვლევისა, რითიც განსხვავდება წინა კვლევებისგან, ის არის, რომ დევნილთა 57% თავს ინტეგრირებულად თვლის იმ საზოგადოებაშიც, სადაც ახლა ცხოვრობენ. ინტეგრაციის მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე – მამაკაცებში. მესამე მნიშვნელოვანი ციფრი კი, სოზარ სუბარის თქმით, არის ის, რომ გამოკითხულთა 57% ამბობს, რომ მათ სურთ, იცხოვრონ იმ ადგილას, სადაც ამ წუთებში ცხოვრობენ და არ სურთ სხვაგან გადასვლა.

– ეს ციფრი ეთანხმება ინტეგრაციის მაჩვენებელს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად სწორია ის პოლიტიკა, რაც გვაქვს წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით. ჩვენ ვცდილობთ, ადამიანებს იქ დავუკანონოთ სახლი, სადაც ისინი ცხოვრობენ და არა იქ, სადაც ხელისუფლება გადაწყვეტს. ამის კლასიკური მაგალითია ფოცხო-ეწერი – თუ როგორ ახდენდა წინა ხელისუფლება დევნილების გადასახლებას იმ ტერიტორიებზე, სადაც მათ არ სურდათ, – აცხადებს სოზარ სუბარი.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ მსგავსი კვლევა ჩატარდა წინა წლებში. მისი თქმით, რაც უფრო მეტი კვლევა ჩატარდება, მით უკეთესია, რადგან იქნება საზოგადოების განწყობის უფრო ნათელი სურათი და უფრო სანდო იქნება თავად კვლევების შედეგებიც.

„კონფლიქტის მოგვარება მრავალშრიანი პროცესია და ანგარიშგასაწევია ყველა ასპექტი. დევნილების დაბრუნების გარდა, კონფლიქტის მოგვარება გულისხმობს შერიგებას, ნდობის აღდგენას, კონფლიქტის მხარის ინტერესების გათვალისწინებას, ასევე რუსეთისა და მესამე მხარეების ფაქტორების გათვალისწინებას. თუმცა, დევნილების დაბრუნება, რა თქმა უნდა, უმთავრესია და მნიშვნელოვანი ამ საკითხზე ჩატარებული კვლევების შედეგებში“, – აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ აღნიშნული კვლევა აფხაზურ მხარესთან თუ საერთაშორისო საზოგადოებასთან დიალოგისთვის უდაოდ არის ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტი.

„ეს შედეგი, რაც დევნილთა სამინისტრომ გაახმაურა, ძალზედ მნიშვნელოვანია დევნილთა ურთიერთობის ზოგადი კონცეფციის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, რომ ინტეგრირება ამ საზოგადოებასთან არ ნიშნავს, რომ ამ ადამიანებს შეეცვალათ დამოკიდებულება იმ ადგილების მიმართ, სადაც დაიბადნენ. იცით, რომ წლების განმავლობაში იყო კამათი იმაზე, უნდა შეექმნათ თუ არა დევნილებისთვის გარკვეული პირობები დანარჩენ საქართველოში. იყო ასეთი მოსაზრებაც, რომ, თუ შეუქმნიდნენ ნორმალური პირობებს, შეიძლება, საერთოდ არ მოესურვებინათ დაბრუნება“, – აცხადებს საყვარელიძე.

ექსპერტის თქმით, ეს იყო ინტეგრირების პოლიტიკის საპასუხო მოსაზრება.

„ვიცით, რომ აზერბაიჯანმა საერთოდ კარვებში დაასახლა თავისი დევნილები სწორედ იმიტომ, რომ მათ შეენარჩუნებინათ დაბრუნების მისწრაფება, ანალოგიური მოსაზრებით, რომ ინტეგრაციამ შეიძლება ხელი შეუშალოს სამომავლოდ იმ ადგილების ათვისებას, საიდანაც არიან. საბედნიეროდ, ქართველი ახალგაზრდობა თავის პოზიციებს არ იცვლის და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 88,3%-ს სურს, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ადგილას“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

თამთა ქარჩავა

სააკაშვილისა და ადეიშვილის ჩანაწერზე პროკურატურამ გამოძიება უნდა დაიწყოს

ემზარ კვიციანის განცხადებით, ჩანაწერზე, რომელშიც სააკაშვილი და ადეიშვილი მასზე, სულხან მოლაშვილსა და ლევან მამალაძეზე საუბრობენ, პროკურატურამ გამოძიება უნდა დაიწყოს.

როგორც კვიციანმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, გამოქვეყნებული ჩანაწერი რეალურ საფრთხეს წარმოადგენს და საგამოძიებო უწყება ვალდებულია, მოკვლევა დაიწყოს.

კვიციანის თქმით, გამორიცხული არ არის, ამ ჩანაწერის გავრცელება უცხოურ სპეცსამსახურებს უკავშირდებოდეს, რომლებსაც მართლაც სურთ მისი მოკვლა.

კვიციანის ინფორმაციით, ადეიშვილისა და სააკაშვილის საუბრის ჩანაწერი გამოქვეყნდა უკრაინულ საინფორმაციო საagენტოებზე: slovo.net.ru-ზე, ua-ზე და vikiliks-ზე.

„სააკაშვილის ფარული მხარდამჭერები ცდილობენ, რომ თქვან, თითქოს ეს სიყალბეა, მაგრამ თითოეული სიტყვა, რომელიც ჩანაწერშია, ეკუთვნის სააკაშვილს. ვერ დავიფიცებ, რომ მეორე ადეიშვილია, თუმცა, სააკაშვილის ყველა სიტყვა რეალურია. ადეიშვილი ჩანაწერში ამბობს, რომ კვიციანი გამოუშვეს, რადგან ხალხი გამოყარეს და ამათ ხალხის შეეშინდათ. ხალხის თანადგომა რომ არ ყოფილიყო, დღესაც იქ ვიქნებოდი და 12 წელი ციხეში მომიწევდა ყოფნა. თუკი პროკურატურაში კიდევ რჩებიან სააკაშვილის მომხრეები, ამაზე უნდა დაიწყოს გამოძიება“, – განაცხადა ემზარ კვიციანმა.

მისივე თქმით, ის, სულხან მოლაშვილი და ლევან მამალაძე ერთობლივ ბრიფინგს გამართავენ, სადაც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამომავლო გეგმებზე ისაუბრებენ. კვიციანი აცხადებს, რომ სააკაშვილის დავალებით, მას რამდენიმე ხაფანგი აქვს დაგებული.

„ერთ-ერთი ასეთი არის საგვარეულო ეკლესია, რომელიც აშენდა მთავარანგელოზ გაბრიელის სახელზე. იქ მიიყვანეს უშიშროების თანამშრომლებმა ერთი პირი, რომელსაც როგორც ჩანს, საპატრიარქოშიც ჰყავს მფარველი, ეკლესიასთან ახლოს ათას უმსგავსობას ჩადიან და ცდილობენ, მდგომარეობიდან გამომიყვანონ. ისინი აგინებენ მღვდლებსაც. ერთ-ერთი ასეთი ხაფანგი კიდევ დაგებული მაქვს დოლიბაურის პირველ ჩიხში, ჩემს ყოფილ სახლში, რომელიც ოქრუაშვილმა უკანონოდ ჩამომართვა. იქ ჩასახლებულია ოქრუაშვილის ახლობელი ომარ მეტრეველი, რომელსაც, როგორც ვიცი, „ქილერას“ ეძახიან. უნდათ, რომ შევიდე სახლში და მერე თქვან, რომ რაიმე უკანონო ჩავიდინე. მესამე ხაფანგი კი ის არის, რომ ადეიშვილი ჩანაწერშიც ამბობს, თუკი კვიციანი შენს ყვარლის რეზიდენციაში შეყოფს ცხვირს, „ბოროტა“ გაფრთხილებულია და დაიჭერენო. ეს ბოროტა, ალბათ, არის პირი, რომელსაც გავლენა აქვს პროკურატურაში“, – განაცხადა ემზარ კვიციანმა.

მან მოსახლეობას მოუწოდა გაერთიანებისკენ. როგორც კვიციანმა აღნიშნა, თუკი პროკურატურა ვერ ახორციელებს საკუთარ უფლება-მოვალეობებს, ეს ხალხმა უნდა გააკეთებინოს.

ემზარ კვიციანის თქმით, საპროტესტო აქციები ამერიკის საელჩოსთან დაიწყება იქიდან გამომდინარე, რომ ფარული ჩანაწერების გავრცელებაში უცხოური სპეცსამსახურები არიან გარეული.

მთავრობა საჯარო სამსახურის რეფორმას იწყებს

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები მთავრობის სხდომაზე გუშინ განიხილეს, რის შემდეგაც პარლამენტს გადაუგზავნეს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, საჯარო სამსახურის რეფორმა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება იყო.

„ეს იყო ჩვენი წინასაარჩევნო დანაპირები, რომ შევქმნიდით პროფესიულ საჯარო სამსახურს, რომელიც იქნებოდა კარიერაზე და წინსვლაზე დაფუძნებული. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რაც ჩვენი მთავრობის პირობებში დაიწყო და მივა ბოლომდე. მოგეხსენებათ, ეს იყო სერიოზული გამოწვევა ახალგაზრდა დემოკრატიებისთვის. თქვენ ყველას კარგად გახსოვთ, რომ წინა ხელისუფლების დროს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა ადამიანების შერჩევა, მათი დაწინაურება არ ხდებოდა პროფესიული ნიშნით, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ადამიანების პოლიტიკური ნიშნით გაშვება სამსახურიდან. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავასრულოთ და შექმნათ პროფესიული საჯარო სამსახური“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მან შესაბამისი კანონპროექტის მომზადებისთვის მადლობა გადაუხადა საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელ ეკა ქარდავას და მთავრობის ადმინისტრაციის უფროს მაია ცქიტიშვილს, ასევე ევროკავშირს, USAID-ს და ყველას, ვინც ჩართული იყო კანონპროექტის მომზადებაში.

◎ დამაიმედებელი შედეგი

საქართველო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებულ ქვეყნად მიიჩნევა

ამის შესახებ ორგანიზაცია Transparency International-ის ახალ ანგარიშშია ნათქვამი, რომელშიც კორუფციასთან ბრძოლის კუთხით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული ვითარებაა მიმოხილული. დოკუმენტის მიხედვით, რეგიონის ქვეყნებს შორის, საქართველო ამ მხრივ ყველაზე კარგ პოზიციას იკავებს.

„საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მიღწეული პროგრესი დიდწილად 2003 წლის შემდეგ არაერთმა მნიშვნელოვანმა საკანონმდებლო რეფორმამ განაპირობა, მათ შორის აქტიური და პასიური მექრთამეობის კრიმინალიზაციამ, ფულის გათეთრების შესახებ კანონმდებლობის გაძლიერებამ, საჯარო მოხელეების ეთიკის კოდექსის შექმნამ“, – აღნიშნულია ანგარიშში.

დოკუმენტში ასევე წერია, რომ საკანონმდებლო რეფორმებს აძლიერებდა პრაქტიკული ნაბიჯებიც, მათ შორის, უფრო აქტიური გამოძიებები, კორუფციონერების სანქცირება, საჯარო სექტორში დასაქმებულებისთვის ხელფასების მომატება, სამართალდამცავი უწყებების რეფორმირება, კორუმპირებული საგზაო პოლიციის განადგურება.

„თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს ანტიკორუფციულ სისტემას აქვს სუსტი მხარეებიც. მათ შორის არ არსებობს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური, რომლის პასუხისმგებლობა იქნება გამოძიება, მონიტორინგი და ანტიკორუფციული დებულებების აღსრულება“, – წერია Transparency International-ის დოკუმენტში.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამი საზედამხედველო ორგანო – საარჩევნო ადმინისტრაცია, სახალხო დამცველი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის ძლიერი. თუმცა, დოკუმენტის მიხედვით, საპარლამენტო ზედამხედველობა საქართველოში სუსტია.

ანგარიშში ასევე საუბარია სასამართლო სისტემის ძლიერ და სუსტ მხარეებზეც.

„მთავრობა აგრძელებს ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეების სადავო გამოძიებებს და გასამართლებებს, რის გამოც ევროკავშირი მათ მოუწოდებს სამართლიანი, გამჭვირვალე და სამხილებზე დაფუძნებული პროცესების ჩატარებას, რომელიც პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი იქნება. მიუხედავად ამისა, კერძო პირების მიერ სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ მოგებული ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

◎ ვის ხელში იყო ძვეყანა!



„თუ კეზერაშვილი სადმე გამოჩნდება, საკუთარი ხელით ვესვრი!..“

პროკურატურა ყოფილ მაღალჩინოსნებს ბრალს უმძიმებს, დაუსწრებლად პასუხისგებაში აძლევს, მაგრამ ძებნილ მაღალჩინოსნებს ეს ხელს არ უშლით, რომ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში დაუბრკოლებლად გადაადგილდნენ. ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტზე პროკურატურამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი.

გამოძიების თანახმად, 2010 წლის აგვისტოში დავით კეზერაშვილმა, რომელიც იმ პერიოდში თავის ბნელ ბიზნეს-საქმიანობაში ხელისუფლების უმაღლესი რანგის თანამდებობის პირების განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა, გადაწყვიტა გაეფართოებინა ბიზნესგავლენის სფეროები და ხელში ჩაეგდო ფოთის პორტში ნავთობპროდუქტების და მშრალი ტვირთების გადამუშავებასთან დაკავშირებული ბიზნესი, რომელიც წლიურად ათეულობით მილიონი ლარის მოგებასთან იყო დაკავშირებული.

იმ პერიოდში, ხსენებული ბიზნესის მესაკუთრეები იყვნენ მამა-შვილი თამაზ და ზურაბ ნიჟარაძეები, კერძოდ, თამაზ ნიჟარაძე და ზურაბ ნიჟარაძე ფლობდნენ კომპანია BIMEDIA INVESTMENTS LIMITED-ს, რომელიც 2002 წლიდან, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ეწეოდა ნავთობპროდუქტების გემებიდან რკინიგზის ვაგონებში გადატვირთვას. ხელშეკრულების მოქმედების ვადას კი წარმოადგენდა 10 წელი. ასევე, თამაზ ნიჟარაძისა და ზურაბ ნიჟარაძის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იყო MISSION INVESTMENT LIMITED, რომელიც მის მიერ დაფუძნებული კომპანიების მეშვეობით სარგებლობდა ფოთის პორტში ნავთობპროდუქტების გადამუშავების ექსკლუზიური უფლებით და იღებდა შემოსავალს ამ უფლების გაცემისთვის.

გარდა ამისა, თამაზ ნიჟარაძე 2010 წლის მდგომარეობით, 52.5%-იან წილს ფლობდა შპს „მეტალექსში“, რომელიც 2003 წლიდან 2028 წლამდე იჯარით ფლობდა ფოთის პორტის №5 ნავმისადგომს, საიდანაც ახორციელებდა მშრალი ტვირთების გადამუშავებას. ეს იყო ნიჟარაძეების ის ბიზნესი, რომელიც გამოძიების მტკიცებით, დავით კეზერაშვილის ინტერესის სფეროში მოექცა. აქედან გამომდინარე, 2010 წლის 14 აგვისტოს, დავით კეზერაშვილი, თბილისში, ე.წ. პიქსელის შენობაში შეხვდა ბიზნესმენ თამაზ ნიჟარაძეს და ძალადობის გამოყენების მუქარით კატეგორიულად მოსთხოვა ხსენებულ კომპანიებში მისი და მისი შვილის კუთვნილი წილების თავის სასარგებლოდ დათმობა.

მოთხოვნის პარალელურად, 2010 წლის 15 აგვისტოდან 17 აგვისტოს ჩათვლით, თბილისში, მარაბდის ქუჩაზე მდებარე ნიჟარაძის საცხოვრებელ სახლში და მის გარე პერიმეტრზე, უკანონოდ განლაგდა შს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელთა ჯგუფი, რომლებიც ნიჟარაძეს არ აძლევდნენ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას. სწორედ ამ პირობებში ითხოვდა კეზერაშვილი ბიზნესის ქონების დათმობას.

ძალადობისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, კეზერაშვილის მუქარიდან რამდენიმე დღეში, თამაზ ნიჟარაძემ და მისმა შვილმა ზურაბ ნიჟარაძემ კუთვნილი წილები, რომელთა ღირებულება რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს აღემატებოდა, უსასყიდლოდ დათმეს დავით კეზერაშვილის მიერ კონტროლირებადი, ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული საწარმოების DAVOR HOLDING LIMITED-ის, AXTON OVERSEAS DEVELOPMENT LTD-ისა და STEINLORD ENTERPRISES LLP-ის სასარგებლოდ.

დანაშაულებრივი კვალის შენიღბვის მიზნით, MISSION INVESTMENT LIMITED-ის წილის გასხვისების ხელშეკრულებაში მიეთითა, რომ თითქოსდა, ნიჟარაძეებმა წილების სანაცვლოდ მიიღეს 6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 2 უძრავი ქონების პროექტი, BIMEDIA INVESTMENTS LIMITED-ის წილის ნასყიდობის ფასი განისაზღვრა კონფიდენციალურად, ხოლო შპს „მეტალექსის“ წილის ღირებულებად განისაზღვრა 1050 ლარი. სინამდვილეში კი ნიჟარაძეებს ძალადობის შედეგად დათმობილი წილების სანაცვლოდ არანაირი სარგებელი არ მიუღიათ.

ფოთის პორტთან დაკავშირებით კეზერაშვილის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე შესაძლოა, სხვა პირებიც მიეცნენ პასუხისგებაში. მთავარი პროკურატურის სპიკერის კოკა კაციტაძის განცხადებით, ნიჟარაძეებისთვის ნავთობპროდუქტების გადატვირთვის კომპანიებში წილების ჩამორთმევის პროცესში სხვადასხვა უწყებები იყვნენ ჩართულნი. რაც შეეხება ჩამორთმეული ბიზნესის დაბრუნების საკითხს, კაციტაძის განმარტებით, ამის ერთადერთ მექანიზმად რჩება სასამართლო, ხოლო კომპანიებიდან, რომელიც კეზერაშვილმა მუქარისა და ზეწოლის შედეგად ჩამოართვა ნიჟარაძეებს, პროკურატურის განცხადებით, ამ ეტაპზე, სხვის საკუთრებაშია.

თავად ბიზნესმენი აცხადებს, რომ რაც 20 წელი აშენა, ერთ დღეში წაიღო კეზერაშვილმა. ნიჟარაძე კეზერაშვილს ასევე ბრალს დებს 2013 წლის მაისში ავტომობილის აფეთქებაში.

„მთელი ქონება და ბიზნესი, რომელიც მე და ჩემს შვილს წაგვართვეს, ისევ კეზერაშვილის განკარგულებაშია. ახლა უკვე სასამართლოს გადასაწყვეტია დამიბრუნდება თუ არა წართმეული ქონება. კეზერაშვილი სხვადასხვა პირების მეშვეობით მე და ჩემს შვილს მუქარას გვითვლიდა, რომ არ მოგვეთხოვა წართმეული ქონება. საქმეს იძიებს პოლიცია. აფეთქების შემდეგ რომ დამკითხეს, მის მერე აღარც დავუკითხივართ. კეზერაშვილის მხრიდან იყო მუქარა, რომ აღარ მომეთხოვა პროკურატურის და სასამართლოს მხრიდან საქმის გამოძიება“, — აცხადებს თამაზ ნიჟარაძე.

თავდაცვის ყოფილი მინისტრისთვის ბრალის დამძიმებას გამოეხმაურა დღევანდელი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, რომლის განცხადებით, არაფრის მქონე 27 წლის ბიჭი ხელისუფლებაში მოვიდა და ხელისუფლებიდან 7-8 წლის შემდეგ მილიარდერი წავიდა.

„27 წლის დროშების მქნეველი ბიჭი, ფინანსური პოლიციის უფროსი, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრი გახდა და ხელისუფლებიდან მილიარდერი წავიდა. ამით ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულია“, — განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ პროცესები ამით არ დასრულდება. ეკა ბესელიას განცხადებით, ფოთის პორტთან დაკავშირებით იყო სხვა კრიმინალური და დანაშაულებრივი საქმეები.

„თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია ამ საქმის გახსნა და ვფიქრობ, რომ ალბათ, ამით არ დასრულდება. იმიტომ, რომ ფოთის პორტთან დაკავშირებით, კიდევ იყო სხვა კრიმინალური და დანაშაულებრივი სქემები, რომელიც იმედი მაქვს, რომ ბოლომდე გაიხსნება. კეზერაშვილის მიმართ ამ ბრალის წარდგენა გამოძიების მიერ გამოვლენილი ფაქტებით მოხდა და ჩვენ დავველოდებით როგორი იქნება გადაწყვეტილება“, — აცხადებს ეკა ბესელია.

თამაზ ნიჟარაძის მსგავსად, კეზერაშვილს ქონების იძულების წესით წართმევაში ადანაშაულებს ნავთობ იმპორტიორი კომპანია „მაგნატის“ დამფუძნებელი ჯემალ ლეონიძე, რომელმაც კეზერაშვილის მიერ წართმეული ქონების დაბრუნება ვერც ამ ხელისუფლების პირობებში ვერ შეძლო.

„არა მარტო ჩემს საქმეში, არამედ საქართველოს დაღუპვაში და დაქცევაში ფიგურირებს კეზერაშვილი, მაგრამ ვინ რა უქნა, რომ? ჩემი საქმე გადაეცა ახალ დეპარტამენტს და მიდის გამოძიება. მე ვიყავი ახალი პროკურატურის ახალ დეპარტამენტში, გამესაუბრნენ, მაგრამ დაკითხვის ოქმი არ შემდგარა. მინდა გითხრათ, რომ მე იმის იმედი მაქვს, რომ, თუ კეზერაშვილი ოდესმე გამოჩნდება საქართველოში, საკუთარი ხელით ან მივახრჩობ, ან ტყვიას ვესვრი და ჩემს მოთხოვნას დავიკმაყოფილებ. შევძლებ, რომ საკუთარი ხელით გავუსწორდე კეზერაშვილს“, — აცხადებს ჯემალ ლეონიძე.

თამარ ძარჩავიძე

◎ შეთანხმების გაწყვეტას აპირებენ

„ეს დასაწყისია, ამას თანდათანობით რუსეთის ბაზრის შეზღუდვაც მოჰყვება“

რუსეთი საქართველოსთან 1996 წლის 19 მარტს გაფორმებული შეთანხმების გაწყვეტას აპირებს. ამ შეთანხმების თანახმად, ის პირები, რომლებიც უკვე გასამართლებულები არიან და მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს უნდა გადმოეცეს. შეთანხმების გაუქმების ინიციატივა რუსეთის იუსტიციის სამინისტროს ეკუთვნის, რომელსაც ასევე ეთანხმება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და უზენაესი სასამართლო. რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა დადგენილებას, რომლითაც რუსეთის პრემიერ-მინისტრი დმიტრი მედვედევი პრეზიდენტს მიმართავს წინადადებით, რომ მთავრობის გადაწყვეტილება აცნობოს ქართულ მხარეს.

რუსეთის გადაწყვეტილებას ქართული მხარე გამოეხმაურა. საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერი დავით კერესელიძე for.ge-სთან საუბრისას განმარტავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არის არაჰუმანური გამოვლენა და არ აქვს მნიშვნელობა, რა ფორმით შეიძლება გამოავლინო აგრესია და გაავრცელო სხვა ქვეყნის მიმართ.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვს, მუდმივი განახლებული ინფორმაცია იმის შესახებ, საქართველოს რამდენი მოქალაქე იხდის სასჯელს რუსეთის ციხეებში, უცნობია. თუმცა, ცნობილია, რომ რუსეთის საპატიმრო დაწესებულებაში ამ დრომდე რჩებიან ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს მოქალაქეები. ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, აბაშიძე-კარასინის ფორმატის ფარგლებში სამი ქართველის განთავისუფლება მოხერხდა.

პრემიერის წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან დაგეგმილ შეხვედრაზე, რუსეთში, ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ქართველების გათავისუფლების საკითხზე იმსჯელებს.

„ერთ-ერთი საკითხია ე.წ. ჯაშუშების გადმოცემა. ამ საკითხზე ჩვენ ვსაუბრობდით და მე არ მგონია, რომ ამ ხელშეკრულების გაუქმებამ პირდაპირი გავლენა იქონიოს პროცესებზე. ამ ფორმატში 3 ადამიანი დავაბრუნეთ, თუმცა, არიან ჩვენი მოქალაქეები, რომელიც ამ ბრალდებით არიან გასამართლებული. ჩვენი მიზანია მათი განთავისუფლება, საკმაოდ დიდი სასჯელი აქვთ შეფარდებული, ზოგს 18 წელი, ზოგს 20 და ა.შ.“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ზურაბ აბაშიძე.

პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თენგიზ ფხალაძე აცხადებს, რომ, როდესაც იდგმება გაცილებით საშიში ნაბიჯები ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მისამართით, რუსეთის მხრიდან საქართველოსთან მორიგი ხელშეკრულების გაუქმება არ უნდა გვიკვირდეს.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თამჯდომარის განცხადებით, როდესაც ორი ქვეყანა ასეთ დაპირისპირებაშია, თავისთავად ცხადია, რომ არსებობს გარკვეული რისკები, რომ ეთნიკური ქართველების უფლებები დაცული არ იქნება საპატიმროებში.

„იმ შემთხვევაში, თუკი გაუქმდება ეს ხელშეკრულება, შევეცდებით, შვეიცარიის საელჩოს დახმარებით შევძლოთ ჩვენი თანამოქალქეების დახმარება. თუკი ადგილი ექნება მათი უფლებების დარღვევას, ასეთ შემთხვევაში შევეცდებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით და ძალისხმევით დავიცვათ ჩვენი თანამოქალაქეები რუსეთის საპატიმროებში. ამ ეტაპზე რთულია სხვა მექანიზმებზე ვიფიქროთ, რამდენადაც ჩვენ არ გვაქვს სხვა ბერკეტი“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ირაკლი სესიაშვილი.

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის განცხადებთ, როდესაც რუსეთ-საქართველოს შორის აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო, რუსეთს იმედი ჰქონდა, რომ საქართველო თუ არ იქნებოდა მისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ, მის საწინააღმდეგო კურსს არ დაადგებოდა. როგორც ცინცაძე აცხადებს, მაშინ, რუსეთი ამ ხელშეკრულებით აღფრთოვანებული არ ყოფილა.

„დსთ-ს ფარგლებში დადებული 50-მდე ხელშეკრულება არ გაუქმებულა, ძალაშია, მაგრამ ახლა, როდესაც საქაშვილის დროინდელი რიტორიკა ივსება პრაქტიკული ნაბიჯებით, რუსეთი ამას განიხილვას როგორც თავისი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც ნიშნავს, რომ რუსეთი თავს ვალდებულად არ გრძნობს, ანგარიში გაუწიოს საქართველოს და მის ინტერესებს. ეს მხოლოდ დასაწყისია, ამას თანდათანობით მოჰყვება რუსეთის ბაზრის შეზღუდვაც“, — აცხადებს ცინცაძე.

თამთა ძარჩავა

აწმყო, შობილი წარსულისაგან...

გვახსოვდეს ცხრა ძმა ხერხეულიძე

მარაბდის ომის გახსენება

პირველ ივლისს 390 წელი შესრულდა მარაბდის ომიდან. 1625 წელს ქართველთა მიერ მარტყოფის ველზე 30-ათასი სპარსელის ამოწყვეტით გააფთრებულმა შაჰ-აბასმა უზარმაზარი ირანული ურდო დაძრა საქართველოსკენ.

მარაბდის ველზე დაბანაკებულ 50 ათას ირანელს ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარი უნდა შერკინებოდა.

ბრძოლის წინ რუისელმა ეპისკოპოსმა დალოცა მხედრობა. თვითონაც აბჯრით შეჭურვილი მეწინავეთა რიგებში ჩადგა. გორგასლიან-დავითიან-თამარიან დროშას კი ცხრა ძმა ხერხეულიძე დაუყენეს დარაჯად.

მზის ჩასვლამდე იბრძოდა თეიმურაზ მეფე, რომელმაც იმ დღეს „დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და არღარა შემორჩენოდა რა, ბეჭდებიც დაემტვრა მუშტის ძგერებითა...“

რიყრაჟზე დაწყებული ბრძოლა გვიან ღამით ქართველთა დამარცხებით დამთავრდა...

ბრძოლის ველზე ცხრა ათას წმინდა ქართველს შორის გულგანგმირულნი იწვნენ თეიმურაზ მუხრანბატონი, ბაადურ ციციშვილი, ეპისკოპოსები რუსთველი და ხარჭაშნელი, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი, ცხრა ძმა ხერხეულიძე და დედა და 14 წლის დაი მათი...

გადმოცემის თანახმად, ერთ ძმას რომ დროშა ხელიდან გაუვარდებოდა, დედა მეორეს გადასცემდა... ბოლოს დროშა ცხრა ძმის ნაბოლარა დას გადაულოცა... დედა და და ცხრა ძმასთან ერთად აჩეხა მტერმა მარაბდის ველზე...

ყველამ როდი იცის, რომ სოფელ მარაბდის განაპირას, წმინდა მარინეს ეკლესიის ეზოში, მძიმე ლოდებქვეშ გვერდიგვერდ განისვენებენ ძმები ხერხეულიძენი დედასთან და დასთან ერთად...

ყველამ როდი იცის, რომ ისინი წარმოშობით ფრონისხეობელი აზნაურები იყვნენ, ყორნისიდან, იმ ტერიტორიიდან, ახლა რომ მტერს აქვს მიტაცებული...

უკვე მეექვსე წელია, რაც სამაჩაბლოდან დევნილები ყოველ „მარაბდობას“ იხდიან მათ საფლავებზე. მიდიან თავიანთ სისხლსა და ხორცთან და სანთელს უნთებენ სულის საოხად...

– სანამ ცოცხალი ვარ, ვივლი, არ მივატოვებ მათ საფლავებს, – ამბობს აქციის ორგანიზატორი, ქალაქ ცხინვალიდან დევნილი ენრიკო კვაღინიძე, – კარგი იქნება, თუ სხვებიც აიღებენ პასუხისმგებლობას გმირი წინაპრების სულთა წინაშე. აქ, წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაში, ყოველ შაბათ-კვირას აღევლინება წირვა-ლოცვა, იხდება პარაკლისი მეუფე ანანია ჯაფარიძის წინამძღოლობით.

ახლაც წმინდა მოწამეთა სახელზე პარაკლისს აღავლენს მღვდელი შენგელ გოცირიძე. ჩვენც ანთებული სანთლებით ხელში ვდგავართ იმ მიწაზე, სადაც მათი სისხლია დაღვრილი სამშობლოსთვის.

ვდგავართ და ვფიქრობთ, რა ვუთხრათ მათ სულებს ჩვენ, საზღვრებმოშლილი ქვეყნის თაობამ, რა ვუთხრათ, რომ ვერ გავუფრთხილდით წინაპართა დროშას, ვერ მოვუარეთ და ვერ შევინარჩუნეთ მათი დანატოვარი... რომ მათი ოცნება სამშობლოს ერთიანობისა ისევ აუხდენელია!..

მღვდელი სულის უკვდავებაზე გვიქადაგებს და გვარწმუნებს, რომ მათი სულები ჩვენთვის ლოცულობენ, რომ წინაპართა ლოცვა გონიერ საქართველოსთან ერთად გადაარჩენს ჩვენს მომავალს!

სამაჩაბლოდან დევნილი სკოლის მოსწავლეები მდუმარედ დგანან ცხრა ძმის საფლავებთან. ისინი ქურთის მუნიციპალური გამგეობის სოციალური სამსახურის თანამშრომლებმა ჩამოიყვანეს. აქვეა გამგებლის მოადგილე ნუგზარ კახნიაშვილი.

ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებს დირექტორ ზაზა თედიაშვილთან ერთად მოწიწებით დაუხრიათ თავი. მცირე ტრაპი გაიშალა ღვინითა და პურით. სამაჩაბლოელმა პოეტებმა გერონტი მესხმა, ციცინო ბაბუციძემ, მზეგული ტყეშელაშვილმა, დარეჯან ზუბაშვილმა და ამ წერილის, ავტორმა საკუთარი ლექსები წაიკითხეს. ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა ომში დაღუპულ ჰამლეტ ჭიპაშვილის დედამ მანანა ოთინაშვილმა.

ითქვა, რომ მდგომარეობა, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება, არ არის ნორმალური მისი განვითარებისათვის, წინსვლისათვის, რომ ერმა აუცილებლად უნდა დაიბრუნოს ის ძირძველი ტერიტორიები, რაც დაკარგა, რომ, როგორც ხის სიმაღლე იზომება მისი ფესვებიდან, ასევე ერის არსებობა წარმოუდგენელია მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის გარეშე.

გამოითქვა აზრი, რომ ჯვარი ან მემორიალი დაიდგას ძმები ხერხეულიძეების, მათი დედის და დის, ცხრა ათასი ქართველის პატივსაცემად იმ მიწაზე, რომელსაც მათი თავგანწირვა ახსოვს, რათა მომავალი თაობები მოვიდნენ და მუხლი მოიყარონ მათი სულების წინაშე.

– გენაცვალეთ, ქართველებო, რომ ამ საფლავებს პატრონებად გამოუჩნდით, – გვეუბნებოდნენ გახარებული მარაბდელები და საკუთარი მარნიდან ღვინით სავსე ხელადები გამოჰქონდათ...

დავრწმუნდი, რომ ქართველებს კვლავ ძალიან გვყვარებია ერთმანეთი.

თექვსმეტი აგვისტო საქართველოს ეკლესიამ ცხრა ძმა ხერხეულიძის, დედითა და დითურთ, და ცხრა ათასი წმინდა ქართველი მოწამის ხსენების დღედ გამოაცხადა.

ჩვენ კვლავ ვეწევით მარაბდას და ისევ მხნენი და გულანთებულნი წამოვალთ იქიდან, როგორც ეს გუშინ იყო.

გვახსოვდეს, რომ ხეს ძალას მისი ფესვები აძლევენ!

ლია ჭიღლაძე.
ჯემალ პასრამის ფოტო

მზის სინათლეს ელიან

მუზეუმი და ექსპონატები ფულში გაცვალეს

ბრძნობდნენ რა ხელისუფლების მოსალოდნელ დაისს, ნაცმოძის ლიდერებმა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ყველა შენობა-ნაგებობის, მიწის, ტყის, მდინარეებისაც კი გაყიდვა დაიწყეს, არად დაგიდევდნენ რა იყო იქ განთავსებული. ორგანიზაციებს პირდაპირ ქუჩებში ჰყრიდნენ, ან სხვა საჯარო დაწესებულებებში ასახლებდნენ, ვითომდა დროებით, მათი კუთვნილის გარემონტებამდე, ან სულაც ახლის აშენებამდე. ასე დაემართა მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმს, რომელიც 2011 წელს პრეზიდენტის განკარგულებით კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ მიჰყიდეს. მიზეზად დასახელდა შენობის ამორტიზებულობა და მისი სარეაბილიტაციო თანხების ბიუჯეტში არარსებობა. „ამორტიზებული“ და „უვარგისი“ შენობა კომპანიამ გაარემონტა და დღეს იქ „მცხეთა წყალია“ განთავსებული.

წინა ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის შენობა სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა. ცენტრალური ნაგებობა და მასზე მიშენებული ფლიგელები გადაიხსნა. ის უკვე არა მხოლოდ გამოუსადეგარი, სახიფათოცაა როგორც ექსპონატების, ასევე დამთვალიერებლებისთვის, აცხადებენ აღშფოთებული თანამშრომლები და იქვე იხსენებენ იმჟამინდელი ჩენოვნიკების დაპირებებს, რომლებიც ხან შენობის რესტავრირებას აპირებდნენ, ხან – სულაც ახალი შენობის აშენებას. მოულოდნელად, 2011 წლის მაისში გამოგვიცხადეს, შენობა გაყიდულია და სასწრაფოდ უნდა დაცალოთო. ვის არ მივმართეთ, რომ თუნდაც ის ეთქვათ, სად გადავდიოდით, მაგრამ პასუხის ღირსადაც კი არ ჩაგვთვალეს. მხოლოდ ახალი მეპატრონე, „ჯორჯია ფაუერსი“ შევიდა ჩვენს მდგომარეობაში და ვიდრე რაიმე გაირკვეოდა, შენობის დასაცლელად დრო მოგვცა. იმხელა ზღვა მასალაა თავმოყრილი მუზეუმში, რომ ექსპონატების სპეციალურ შეფუთვასა და ყუთებში ჩალაგებას მთელი ათი თვე დასჭირდა, – სინანულს ვერ მალავენ უშენობოდ დარჩენილები, თუმცა, იქვე იმაზეც ლაპარაკობენ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მოხერხდა ექსპონატების ინვენტარიზაცია – აღწერის ჩატარება.

თანამშრომელთა ნათქვამს ეთანხმება მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი ნიკოლოზ მაისურაშვილი. იგი ამბობს, რომ ნაგებობა, რომელშიც ისინი ბინადრობდნენ, სრულიად უვარგისი შეიქმნა. მას შემდეგ, რაც ის გაიყიდა, გეგმით მუზეუმი მცხეთის იუსტიციის სახლის ერთ ნაწილში უნდა გადასულიყო, თუმცა, დირექტორის თქმით, ეს შენობა მუზეუმისათვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა. გადაწყდა, რომ არქეოლოგიის მუზეუმი ყოფილ კინოთეატრ „კარიბჭის“ ისტორიულ შენობაში შეესახლებინათ, რომელიც თავად საჭიროებს სარეკონსტრუქციო-სარესტავრაციო სამუშაოებს.

მაისურაშვილი ექსპონატების შესახებაც საუბრობს და ამბობს, რომ ისინი 2012 წლის აგვისტოდან მცხეთის საჯარო აუდიტის შენობის სარდაფში დაასაწყობეს და დღემდე იქ ინახება. უშენობოდ დარჩენილი მუზეუმის ხელმძღვანელი მთლად კმაყოფილი არ არის შეფუთული ექსპონატების შენახვის პირობებით, სამაგიეროდ, მადლიერია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობისა, რომელმაც „სარდაფში“ ჩაყრილი ექსპონატების გადასარჩენად შეიძინეს ნესტის შემწოვი და გათბობის სისტემები. ასე რომ, ჯერჯერობით, მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპონატებს საფრთხე არ ელით, – დარწმუნებულია დირექტორი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნათია მურაჩაშვილი მუზეუმის პერსპექტივებზე საუბრობს: მუზეუმი მალე მცხეთის ისტორიულ შენობაში „კარიბჭეში“ გადავა მისი რესტავრაციის შემდგომ. ეს იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც შესაძლებელი იქნება მთლიანი კოლექციის გამოფენა. ის საინტერესო იქნება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტებისათვის, მიაჩნია მურაჩაშვილს.

ასე გასწირა ხარბმა ნაციონალურმა მოძრაობამ მცხეთის უნიკალური არქეოლოგიური ექსპონატები აუდიტის სარდაფისთვის, სადაც ისინი დღის სინათლეს მეხუთე წელია, მოთმინებით ელიან.

ზაზა გილიხოძე

ამ წერილში მოთხრობილი ამბის გავრძელება, როგორც პოსტფაქტუმი, მრავალი წლის წინათ თავად ბატონმა სერგო კლდიაშვილმა მიამბო. ოსტანკინოს რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის თხოვნით გასაგზავნ საკუთარი მოთხრობის ტელედადგმაზე მან უარი განაცხადა. ჩემს კითხვაზე — რატომ? მიპასუხა: მათ ცუდად ესმოდათ ლიტერატურა.

სულ ახლახან ამ ამბის პრეისტორია ანუ მწერლის უარის პირველმიზეზი რევაზ ჯაფარიძის ერთი წერილის ავტოგრაფში ამოვიკითხე, რომელიც ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგემ მარინე ყიფიანმა მოგვაწოდა.

სერგო კლდიაშვილი

რატომ ჩაიშალა მოსკოვური ტელეპრემიერა


დავით ჯაფარიძე

სალამი გაგზონო სერგო!

ალბათ გაგიკვირდებათ ჩემი წერილის მიღება. სამწუხაროა, რა თქმა უნდა, თუ გახსოვთ: ამას წინათ გელაპარაკეთ „ბაკულას ღორების“ ტელედადგმის შესახებ მოსკოვის სტუდიაში. ამ ნაწარმოების დადგმით დაინტერესებული იყო ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი კაცი, ტელესტუდიის რეჟისორი გია გადრიძე, ჩვენი ცნობილი მომღერლის შვილი.

მე დავით კლდიაშვილი, შეიძლება ითქვას, ცუდად არ ვიცი და ვფიქრობდი, რომ ეს ახალგაზრდა ვერ შესძლებდა მის გაყალბებას. იმდენად სწორად გქონდა გააზრებული ყველაფერი... მაგრამ, ალბათ ჩვენი „დიდებული“ მთარგმნელების წყალობით მოხდა მოულოდნელი რამ: სტუდიის ხელმძღვანელებმა ვერაფერი გაუგეს „ბაკულას“ რუსულ ტექსტს და დაასკვნეს, რომ ყოველივე ეს „იმდენად სპეციფიკურია ქართული ყოფისათვის , რომ უცხო მაყურებელი აქედან ვერაფერს გამოიტანსო“.

მე ეს არ მიკვირს. აქ იმდენად დავიწყებული აქვთ ნამდვილი მწერლობა, რომ თვითონაც არ იციან, რას მოითხოვენ. ცხადია, რეჟისორს აღარაფერი აღარ შეეძლო ამის შემდეგ. გუშინ ჩემთან იყო და თქვენი „ხევში“ მოიტანა. ეს ნაწარმოები, როგორც არ უნდა იყოს, ჩვენი დროის ფაქტურაზეა აგებული და იქნებ როგორმე მივახვედრო ეს ხალხი, ამის სახით ხელში რა გვიჭირავსო.

საქმე ის არის, რომ ამ მოთხრობის რუსული თარგმანი აქ არსად მოიპოვება. მთხოვა, მიმესწავლებინა, ანდა თქვენს წინაშე წარმომედგინა იგი წერილებით მაინც და რუსულენოვანი თარგმანი, თუკი ასეთი არსებობს, გამომეთხოვა.

ბატონო სერგო, თუ ძალიან არ შეწუხდებით, იქნებ როგორმე გამოგზავნოთ მაგ მოთხრობის რუსული თარგმანი. რეჟისორი კარგად იცნობს მოთხრობის ქართულ ტექსტს. აქაც აქვს, მაგრამ ეგ რა ნუგეშია.

ტელესტუდიის თხოვნა თქვენდამი ცოტა უტაქტოდ არის დაწერილი, მაგრამ გთხოვთ, ამას ნუ მიაქცევთ ყურადღებას. ალბათ, მეტი არ იციან.

ერთი სიტყვით, როგორც მოგახსენეთ, ჩემის აზრით, „ქალაქ ხევშის“ ტელედადგმა მხოლოდ სასარგებლო საქმე იქნებოდა ჩვენი კულტურისთვის. წერილიც სწორედ ამის გამო მოგწერეთ.

გისურვებთ ჯანმრთელობას,

უღრმესი პატივისცემით
თქვენი რევაზ ჯაფარიძე
12.XII.57. მოსკოვი



ცხოვრება სტრიქონებში და სტრიქონებს მიღმა

აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებმა უჩვენა, რომ დღეს ყველაზე მეტად არა მხატვრულს, არამედ მემორიალურ და დოკუმენტალურ ლიტერატურას კითხულობენ. ეს ალბათ თავისებური გამოხატულებაა იმისა, რომ ადამიანები, ათეული წლების მანძილზე, მოვლენებსა და თანამედროვეობაზე ნამდვილ ინფორმაციას მოკლებულნი, დოკუმენტზე აგებულ თხრობას ანიჭებენ უპირატესობას.

შალვა რადიანი

„გარდასულ დღეთა მატიანე“ („გამომცემლობა უსტარი“, 2015) გახლავთ მოგონებების, ეპისტოლარული მემკვიდრეობის, წერილების და დოკუმენტების კრებული, რომელიც ჩვენი უახლესი ისტორიის საინტერესო და მრავალმხრივ საყურადღებო ეპიზოდებს მოიცავს, სათანადო შენიშვნებით. იგი მწერლისა და მეცნიერის **შალვა რადიანის** და მისი ოჯახის საარქივო მასალებზეა დაფუძნებული.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ კრებულის შედგენაში მწერლის მეუღლეს, ქალბატონ **მერი გომართელ-რადიანს**. ის გახლავთ ავტორიც ცალკეული მოგონებებისა თუ პროფესიული შენიშვნებისა და კომენტარების. კრებულს რედაქტორის, ცნობილი ლიტერატურათმცოდნის, ქალბატონ ცისანა გენძეხაძის მცირე წინასიტყვაობა ახლავს:

წიგნის სათაურში გაცხადებულია, რომ იგი მოიცავს წარსული დროის მოგონებებს და ეძღვნება XX საუკუნის გამოჩენილი კრიტიკოსისა და ლიტერატურისმცოდნის, პროფესორ შალვა რადიანის ცხოვრებას და იმ მძიმე პერიოდის მოღვაწეობას, როდესაც სულიერი ატმოსფერო მინავლებული გახლდათ, მაგრამ ერის კულტურული ცხოვრება გადარჩენისათვის იბრძოდა. ამ თითქმის გაუსაძლის პირობებში შალვა რადიანი თავისი მოღვაწეობით თავადაც მიიკვლევდა გზას და თანამემამულე კოლეგებსაც ხელს აშველებდა, რათა ძირითადი ძარღვი ძლიერი ქართული ლიტერატურის ისტორიისა არ გაწყვეტილიყო.

წიგნი მრავალმხრივ საინტერესოა შალვა რადიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებების გახსენებით, მოგონებებით და, რაც მთავარია, იმ დროის ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემის გადმოცემით, ამავე დროს, ჯერაც გამოუქვეყნებელი საარქივო მასალების დღის სინათლეზე გამოტანით. ნათქვამის დასტურია საზოგადოებისათვის მიწოდებული წერილები, მემუარული და დოკუმენტური მასალა, უცნობი ფოტო-სურათები.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის და იმათთვის, ვისთვისაც ძვირფასია XX საუკუნის კატაკლიზმებით, სიმკაცრით, ამასთანავე, მაინც სიყვარულითა და ერთგულებით აღსავსე დრო, რომელიც, ასე თუ ისე, ღირსეულად გამოატარეს ქართველმა მეცნიერებმა პროფესორ შალვა რადიანთან ერთად.

ცისანა გენძეხაძე

ამჟამად გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს კრებულიდან, რომელიც შეიძლება პირობითად ასე დავასათაუროთ: **„დიდი ადამიანების დაკრძალვა საქართველოში“** (შალვა რადიანის მოგონება ვანო სარაჯიშვილზე, სერგო კლდიაშვილის, მარიამ კლდიაშვილის წერილები შალვა რადიანს, ქ-ნ მერი რადიანის კომენტარით).

* * *

ჩემს მეხსიერებაში სიკვდილამდე არ აღმოიფხვრება ის დასაფლავება, რომელიც ხალხმა მოუწყო შესანიშნავ მომღერალს ვანო სარაჯიშვილს, პირდაპირ, ეროვნული გლოვის ხასიათი მიეცა მის დაკრძალვას. თვით იმათაც კი, რომელთაც არ მოუსმენიათ მისი ჯადოსნური ხმა და სიმღერა, უჩვეულო მწუხარებას გრძნობდა მისი გარდაცვალების გამო, იგი ხომ არც ისე ხნიერი გარდაიცვალა.

მე მხოლოდ ერთხელ მოვისმინე ოპერა „დაისში“, როდესაც ის პირველად იდგმებოდა.მახსოვს მისი სიმღერა და ახლაც, 25-26 წლის შემდეგაც გამომყვა მისი ხმის სიდიადე. ხალხს ვ.სარაჯიშვილი გულწრფელად უყვარდა. მისი ნეშტი დასვენებული იყო ხელოვნების სასახლეში (მაშინ ასე ეწოდებოდა მწერალთა სასახლეს). გამოსვენებისას ხალხი ორ ფენად გაშლილი იყო მთელი მაჩაბლის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტამდე... ეს უჩვეულო იყო. ასეთი მრავალრიცხოვანი ხალხის დასწრება მარტოოდენ 2-3 ქართველ მოღვაწეს თუ ხვდა წილად საერთოდ.

ოპერის თეატრის აივნიდან ცნობილმა მომღერალმა ქალმა პოპოვამ შეასრულა სამგლოვიარო სიმღერა.

ოპერის ბაღში მიებარა მისი ნეშტი მიწას.



* * *

საქ.მწერალთა ფედერაციის მდივანს შალვა რადიანს

შალვა!

24 აპრილს დავითი გარდაიცვალა. იმ დღესვე დეპეშა გამოვაგზავნე და შეგატყობინეთ. ეხლა სპეციალურად კაცს გიგზავნით და საჩქაროდ გთხოვთ პასუხს: რა ვქნა, როგორ მოვიქცეთ?სოფელში არაფერი იშოვება დასაფლავების საჭიროებისთვის, შეიძლება მხოლოდ ქუთაისიდან კუბოს ჩამოტანა, გვეშინია, ცხედარი არ გაფუჭდეს, აქ ყინული არ იშოვება. სასურველი იყო მასკის გადაღება, ჩვენ ფული არ გვაქვს დაკრძალვის ხარჯის დასაფარად. თუ კავშირი ან მთავრობა გაიღებს, გთხოვთ, შეგვატყობინოთ, მანდ უნდა იყოს წასვენებული, თუ ადგილობრივად დასაფლავდეს? თქვენგან პასუხის მიღებამდე ვიცდით.



დავით კლდიაშვილი

ერთი სათხოვარი კიდევ: დავითის მეუღლეს ტანსაცმელი არა აქვს. თუ შეიძლება სრულიად უგრალო შავი რამე მატერია გამოუგზავნოთ.

თქვენგან პასუხის მიღებამდე გაჩერებული ვართ. ამ წერილის მომტანი დღესვე უკან გრუნდება და პასუხი მას გამოატანეთ.

მისამართი: სადგური სვირი, სოფელი ზედა სიმონეთი.

აქედან შეიძლება ურმების გამოგზავნა.

სადგურზე კი ცხენები ქირავდება.

პატივისცემით სერგო კლდიაშვილი

25.IV. 1931 წელი,
სოფ.სიმონეთი.

პატივცემულო შალვა!

გთხოვთ, მადლობა გადასცეთ ფედერაციის საბჭოს და წევრებს მწერალ დავით კლდიაშვილის სიკვდილის გამო მწუხარების გულწრფელად გაზიარებისთვის.

დიდ მადლობას გიძღვნით პირადად თქვენ, შალვა, იმ განსაკუთრებული შრომისათვის, რომელიც გასწიეთ ამ გლოვის დღეებში.

გთხოვთ, აგრეთვე უღრმესი მადლობა გადასცეთ პაოლო იაშვილს, სიმონ ჩვერავას, გიორგი ლეონიძეს და შალვა აფხაიძეს, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს სოფ. სიმონეთიდან დავითის გადმოსვენების დროს.

დავით კლდიაშვილის მეუღლე
მარიამ კლდიაშვილი. 3.V

* * *

ორთავე წერილი მიუთითებს იმ დიდ გაჭირვებასა და მატერიალურ სიდუხჭირეზე, რასაც განიცდიდა კლდიაშვილების ოჯახი, ამავე დროს, იმ ამაგზე, რომელიც, როგორც წერილებიდან ჩანს, გასწია შალვა რადიანმა და, საერთოდ, მწერალთა იმდროინდელმა კავშირმა. მათ, როგორც ირკვევა, დიდი როლი შეასრულეს დავით კლდიაშვილის სიმონეთიდან გადმოსვენებასა და მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვის საქმეში.

ყველაფერი ნათელი რომ იყოს, მკითხველს ვთავაზობთ ორივე წერილს არქივიდან.

მერი გომართელი-რადიანი

ვანო სარაჯიშვილი

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

პორტრეტი პოლიტიკური მაკიაჟის გარეშე

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ბევრი არ არის ისეთი პიროვნება, რომელიც იმდენ მითქმა-მოთქმას იწვევდეს, როგორც ლეიბორისტული (შრომითი) პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი. მის ირგვლივ მუდამ აჟიოტაჟი, ხმაური, აყალმაყალია, თანაც ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში მეორე ისეთი პოლიტიკური პარტია, რომლიდანაც თავკაცის იმდენი უახლოესი თანამებრძოლი წასულიყოს, როგორც ეს გამუდმებით ლეიბორისტული პარტიის ლიდერს მოსდის.

რაშია საქმე, ბატონი ნათელაშვილის შიდაპარტიული მოღვაწეობა არ მოსწონს ამ ხალხს თუ თავად პარტიის ხელმძღვანელს არ გამოსდის თანამებრძოლთა ხეირიანად შერჩევა? საერთოდაც, როგორი პიროვნებაა ეს, ერთი შეხედვით, სულ საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოქცეული პოლიტიკოსი, რომელიც, ამავე დროს, ყველა ხელისუფლების დროს მაინც მეორე პლანზეა? ამის გარკვევას ცდილობს „საერთო გაზეთი“ ორ მასალაში — №22 (17.06.2015) და №23 (24.06.2015) — „შალვა ნათელაშვილი — პოლიტიკური შულერი, პოლიტიკური კლოუნი თუ ჩვეულებრივი თაღლითი, რომელმაც ქართული ხალხის გაცუცურაკებით მილიონები იშოვა?“ და „ვინ ხულიგნობს ფეისბუქში შალვა ნათელაშვილის სახელით და ვინ ლანძღავს ჟურნალისტებს უბილწესი სიტყვებით — ბატონი შალვას მოდერატორი, ფეისბუქის ადმინისტრატორი თუ თვითონ ბატონი შალვა?“ რომელთა ავტორია ჟურნალისტი ირანდა კალანდაძე. მათზე ყურადღების გამახვილება ძველმა თბილისელმა, ქვეყნის გულწრფელმა ჭირისუფალმა თენგიზ ონიანმა გვირჩია, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

თავდაპირველად ავტორი ხაზს უსვამს, რომ გარეგნული ანტაგონიზმის მიუხედავად, შალვა ნათელაშვილსა და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ერთმანეთისადმი **„ფსიქოლოგიურ-ინტიმური სწრაფვა აქვთ“,** თანაც პირველ მათგანში ის უფრო მძლავრობს. მისი განცხადებით, **„შალვა ნათელაშვილს სოციალურ ქსელში კლოუნს, მასხარას და ფარჩაკს ეძახიან, მაგრამ ის სულაც არ გახლავთ იმდენად უჭკუო, „დაუნ ვი დიქტეიტე“ თეთრი სახლის წინ რომ წარმოეთქვა“:**

ისეთი ოპოზიცია, როგორიცაა შალვა ნათელაშვილი, მიხეილ სააკაშვილს ჰაერივით სჭირდებოდა და აკი ჰყავდა კიდეც. მარტო 20-კაციანი მიტინგი თეთრი სახლის წინ რად ღირს... ახლახან ცნობილი გახდა, რომ შალვა ნათელაშვილმა ამერიკელ კონგრესმენთან შეხვედრაზე მაჟორიტარ დეპუტატთა ინსტიტუტის გაუქმებაზე ისაუბრა. ამით იგი პოლიტიკურად აქტიურ როლს ასრულებს, რომელიც დღენიადაგ ქვეყანაზე ზრუნავს და პრეზიდენტობაც სწორედ ამიტომ სურს. თუმცა კი „ძველი გვარდია“ თანდათანობით შემოეცალა და ვისთან ერთად აპირებს ქვეყნის მართვას, გაუგებარია — ლეიბორისტული პარტია ერთიანად მთელმა საორგანიზაციო პოლიტიკურმა კომიტეტმა (გიორგი გუგავას გარდა) დატოვა!

„2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს შალვა ნათელაშვილმა გამსვლელ სიაში თავისი მეუღლე ქალბატონი ბელა ალანია შეიყვანა. ჩვენი პარტიის აქტივისტები იყვნენ ნესტან კირთაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, ეთერ კაკულია და ადა მარშანია. ბელა ალანია აქტივისტი არასოდეს ყოფილა და სიაში მისმა შეყვანამ აღგვაშფოთა. ჩვენი პროტესტის შემდეგ იგი შალვამ სიიდან ამოიღო. ჩვენი ურთიერთობების დაძაბვა სწორედ აქედან იწყება. ამ ამბის შემდეგ იგი სრულიად შეიცვალა ჩვენს მიმართ, მის მოქმედებაში უკვე იგრძნობოდა, რომ ვიღაცის დავალებას ასრულებდა.

...2011 წელს, მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა, აღმოჩნდა, რომ შალვა ნათელაშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია მიხეილ სააკაშვილთან და ნაციონალურ მოძრაობასთან... ისიც გავარკვიეთ, რომ მას ნაცმოძრაობის მხარდაჭერის საფასურად საკმაოდ დიდი თანხები აუღია და განუთავსებია ავსტრიის ბანკში. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ხელთ გვაქვს“, — ამბობს **სოსო შატბერაშვილი,** ლეიბორისტული პარტიის ყოფილი წევრი. იგი ასევე იმასაც აცხადებს, რომ შალვა ნათელაშვილს ეს ფული **ვანო მერაბიშვილის** ბიზნეს-პარტნიორმა **ანატოლი მოტკინმა** გადასცა, რომელმაც შუამავლობაში 30 პროცენტი მოითხოვა, რაც... 2 მილიონი ევრო ყოფილა(?!). ფული ბატონ შალვას ევროპის სხვა ბანკებშიც ჰქონია შეტანილი ისევე, როგორც მის მეუღლეს ბელა ალანიას. ამ ამბების გაგების შემდეგ ლეიბორისტული პარტიის ელიტა თავის ლიდერს გაემიჯნა.

ბატონ სოსო შატბერაშვილის თქმით, იყო ჭორები შალვა ნათელაშვილის კავშირზე კანონიერ ქურდ **ტარიელ ონიანთან,** თუმცა, ამის არანაირი დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნიათ.

„პირდაპირ ვიტყვი: შალვა ნათელაშვილს პოლიტიკა ბიზნესად აქვს გადაქცეული. ამ დღეებში ის იმყოფება აშშ-ში და ამტკიცებს, თითქოს ის პროამერიკელი და პროდასავლელია, მაგრამ ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, წერილები, რომლებშიც წერია, თუ როგორ ეხვეწება შალვა ნათელაშვილი რუსეთის ხელმძღვანელობას და ისეთ ოდიოზურ ფიგურებსაც კი, როგორებიცაა ვლადიმერ ჟირინოვსკი და იური ლუჟკოვი, დაფინანსებას“, — განაგრძობს ბატონი შატბერაშვილი.

ყოფილ თანაპარტიელსა და ლიდერზე ბევრს კარგს არც ლეიბორისტული პარტიის ასევე ყოფილი წევრი **კახა** ძაგანია ლაპარაკობს. **„არ მიგვაჩნია, რომ რუსეთთან კავშირები კატეგორიულად უნდა გაწყდეს, თუმცა, მიუღებელია შალვა ნათელაშვილის დითირამბები ჟირინოვსკისადმი, ლუჟკოვისა და სხვათა მიმართ,** — აცხადებს კახა ძაგანია. — **შალვა ნათელაშვილი დღეს არის ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი საქართველოში! თავისი უმანკოების და პარტიოსნების დეკლარირების მიუხედავად, ეს ასეა... მას დღესაც მჭიდრო კავშირი აქვს ნაცმოძრაობასთან. პარტიულ მანდატებს აძლევს „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს. რას უნდა ნიშნავდეს ეს, თვითონ მიხვდით... ხმები მოგვდის, რომ ნაცმოძრაობა კვლავ იყენებს შალვა ნათელაშვილს „მყეფარ ძაღლად“ ივანიშვილის საგინებლად. ეს ადამიანი არის პირწავარდნილი მატყუარა... სანამ შალვა ნათელაშვილი ბინძური გარიგებებით ნაშოვნ ფულს არ გადასცემს მიუსაფართა სახლს ან უპატრონო ბავშვებს, ან სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციას, მანამდე ყოველთვის ეჭვი მექნება იმაზე, რომ ის თანაუგრძნობს 7 ნოემბერს, 26 მაისს, ციხის საშინელებების მოწყობას, უსამართლობის დამამკვიდრებელ ნაცმოძრაობას.**

ლეიბორისტული პარტიის ყოფილი წევრი, ასევე ყოფილი პატიმარი **არჩილ ბენიძე** ამბობს, რომ თავის დროზე შალვა ნათელაშვილმა პოლიტიკური პიარისთვის გამოიყენა და იგი ის კაცია, რომელსაც საკუთარი კეთილდღეობის მეტი არაფერი აინტერესებს.

„იგი ხალხის ემოციებზე მომუშავე კაცია, რომელიც ყველაფერს იყენებს საკუთარი თავის სასარგებლოდ“, — ამბობს ბატონი ბენიძე.

ყოფილი თანაპარტიელები შალვა ნათელაშვილს ახლაც ნაცმოძრაობასთან ალიანსში ყოფნის ბრალდებას უყენებენ — წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია „ქართული ოცნების“ კოალიციის ხელისუფლების ასე „შეხმატკბილებულად“ ლანძღვა, როგორც ამას შალვა ნათელაშვილი და ნაცების ლიდერები შვრებიან. მისი პოლიტიკური კარიერა ნულის ნიშნულისკენ მიდის. იმის მიუხედავად, რომ თავს პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად ასაღებს, რუსეთში მის მეგობართა შორის ისეთი ოდიოზური ფიგურებია, როგორებიცაა იური ლუჟკოვი, იოსებ კობზონი, ვლადიმერ ჟირინოვსკი. აი, ბატონი ჟირინოვსკისადმი მიწერილი წერილის მცირედი ამონარიდი:

„ძვირფასო ვლადიმერ ვოლფის ძევ, მაქვს პატივი ლეიბორისტული პარტიის სახელით კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ღრმა პატივისცემა თქვენი მებრძოლი, პატრიოტული, რუსული პოლიტიკის ძალის მიმართ.

ლეიბორისტული (შრომის) პარტია სრულიად იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ ჭერმარიტად პატრიოტულად განწყობილ ძალებს ძალუძს საკუთარი სახელმწიფოების გადარჩენა იმ ფორმის გლობალიზმის ექსპანსიისგან, რომელიც შლის და ანადგურებს ნაციონალურ კულტურას, ნაციონალურ ეკონომიკას და ტრადიციული საზოგადოების საძირკველს...“

ასეთივე შინაარსის წერილები შალვა ნათელაშვილს მიწერილი აქვს იური ლუჟკოვისა და იოსებ კობზონისადმი. მეტიც: 90-იან წლებში, როგორც ამბობენ, იგი პუტჩისტებსაც მთელი გულით თანაუგრძნობდა...

მეორე წერილში კი ჟურნალისტი ირანდა კალანდაძე წერს, რომ მისმა წინა მასალამ შალვა ნათელაშვილი ისე გადარია, რომ, რაც კი მამაკაცმა ქალს უხამსი სიტყვა შეიძლება უწოდოს, ყველაფერი სოციალურ ქსელში უწოდებია. თუმცა კი, თავად ბატონი ნათელაშვილი ამ „ოპუსების“ ავტორობას უარყოფს და ყველაფერს ქსელის ადმინისტრატორს ან მოდერატორს აბრალებს.

„თუ ეს მართლაც ასეა (რაშიც ეჭვი მეპარება) წაავლეთ ყურში ხელი ამ თქვენს ადმინისტრატორს თუ „მოდერატორს“, ბატონო შალვა, და საზოგადოებას წარუდგინეთ: აი, ეს არამზადა ავრცელებს ჩემი სახელით ამ საზიზღრობებს, პროვოკატორია ეს მამაძაღლი და სპეციალურად აკეთებს ამას, რომ სახელი გამიტეხოსო.

თუ ასე არ იზამთ, მაშინ სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ არავითარი მოდერატორი არ არსებობს და, უკაცრავად გამოთქმაზე, და ამ ბაცნური ბილწსიტყვაობის ნამდვილი ავტორი თქვენ ხართ“.

და კიდევ ერთი შტრიხი შალვა ნათელაშვილის პოლიტიკური პორტრეტისათვის. ყოფილი ლეიბორისტი **კახა ძაგანია** ამბობს:

„2012 წელს ბიძინა ივანიშვილს ვლანძღავდით უმოწყალოდ, რადგან შალვა გვარწმუნებდა, ბიძინა ივანიშვილი იმიტომ მოდის, რომ მიშას პოლიტიკური ცხოვრება გაუხანგრძლივოსო. ივანიშვილი ჩაერთვება არჩევნებში ფორმალურად, დამარცხდება და ისევ მიშა იზეიმებსო. წლების განმავლობაში სააკაშვილს ვებრძოდით და მისი მხარდაჭერის მიმართ რა აგრესია გვექნებოდა, თავად წარმოიდგინეთ. ის ასრულებდა სააკაშვილის დავალებას ქართული ოპოზიციური ძალის ფუნქციით. შალვა ნათელაშვილი კი ამით ივანიშვილს უხდიდა სამაგიეროს, ახლოს რომ არ გაიკარა.

მე დამნაშავე ვარ ბიძინა ივანიშვილთან, დაუმსახურებლად ვლანძღავდი იმ ხანებში!“

აი, ასე, „პოლიტიკური მაკიაჟის“ გარეშე, ნიღაბჩამოხსნილი წარმოჩნდა საქართველოს პრეზიდენტობის დიდი ხნის მანძილზე მსურველი ბატონი შალვა ნათელაშვილი. თუ რამდენად შეესაბამება ყოველივე ნათქვამი სიმართლეს, ამას, დარწმუნებული ვართ, მკითხველი თავად გაარკვევს.

თამაზ გორდაძე

კაკალ გულში

წერილოვანი თეზისები

ძალიან არ მინდა ამის დაწერა. ძალიან არ მინდა, მაგრამ აშკარად ვხედავ, რომ ხდება გარკვეული ფასეულობების აღრევა. ამიტომ თავს უფლებას მივცემ, ჩემი მოკრძალებული მოსაზრება გამოვთქვა ერთ საკითხთან დაკავშირებით.

არიან ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო მოხვდნენ ციხეში. ბუნებრივია, რომ მათი ახლობლები, ოჯახის წევრები, განიცდიან ამ საშინელებას, რადგანაც დამერწმუნეთ, რომ მართლაც საშინელია, როდესაც მოგწყდება შენთვის ძვირფასი ადამიანი. მით უმეტეს, ძნელია ეს იმისთვის, ვინც გისოსებს მიღმაა მოქცეული. მე თვითონაც ვყოფილვარ პატიმარი და ვიცი, თუ რამდენად რთულია, ვერ ხედავდე შენს საყვარელ ადამიანებს, ვერ ხედავდე ნაცნობ გამვლელებს და ვერ ხედავდე თუნდაც მტრებს.

ბუნებრივია, რომ შეხვალ იმ ბავშვის ახლობლების მდგომარეობაში, რომელმაც ოპელის სარკე მოიპარა. შეხვალ იმ მეწარმის ცოლ-შვილის მდგომარეობაში, რომელმაც ანგარიშფაქტურა გააყალბა. შეხვალ იმ კაცის მშობლების მდგომარეობაში, რომელმაც ნარკოტიკი მოიხმარა. შეხვალ იმ ადამიანების მდგომარეობაში, რომლებსაც პოლიტიკური მეგობარი და თანამებრძოლი დაუჭირეს.

გავითავისებ მათ ტკივილს, გავიზიარებ და შეძლებისდაგვარად გვერდშიც ამოვუდგები, მაგრამ, როგორც არ უნდა ვეწინააღმდეგებოდე საბჭოთა კავშირს, ვერაფრით ვერ გავიზიარებ ჩიკატილოს ახლობლების „ტკივილს“ იმის გამო, რომ ის საბჭოთა სასამართლომ გაასამართლა.

ვერ გავიზიარებ აიხმანის ნათესავების გოდებას, თუნდაც იმის გამო, რომ ტრუმენზე დიდი შთაბეჭდილების არასოდეს ვყოფილვარ. ვერანაირად ვერ ვიტყვი სადისტებზე, მკვლელებზე, მწამებლებზე, რომ ისინი პოლიტიკურად დევნილები არიან იმის გამო, რომ ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ გუნდზე დადებითი წარმოდგენა არ მაქვს.

ეს პირველ რიგში ჩემი თავის, ჩემი პრინციპების და იმ ადამიანების ღალატად მიმაჩნია, ვისაც ჩემი სჯეროდა და სჯერა იმის გამო, რომ მე გარკვეული იდეალები მქონდა!

მე არ ვმარხულობ და არც ეკლესიასთან ჩავლილ სამარშრუტო ტაქსში ვიწერ პირჯვარს, მაგრამ ნამდვილად არ მრცხვენია ჩემი უმთავრესი პრინციპის: რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა!

- **კეზერაშვილი პასუხისგებაში მიეცა... „ციფრულად“!**
- **ერთსქესიანთა ქორწინება, ეს ხომ უკანასკნელი შანსია ამდენი გაუთხოვარი ქალის გაბედნიერებისა და ამას ებრძვით?**

მრავალცოლიანობა მაინც შემოიღეთ, თქვე გენდეროჯახაშენებულებო!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ მდინარემ წითელი ხაზები გაგვივლო

„ვერემ წლები გვაცალა და შემდეგ თავისი ტერიტორიები უკან დაიბრუნა...

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ მილიონი წლის წინათ მტკვარი მამა დავითის ქედის სიმაღლეზე მიედინებოდა, მოგვიანებით მტკვარმა ჩაჭრა მყიფე, არამდგრადი გრუნტი და დაბლა ჩავიდა. ადვილად ეროზირებად გრუნტში დაიწყო მეწყერული პროცესის განვითარება. არამდგრად ქანებზე აშენებული თბილისის მდგომარეობა კი, კიდევ უფრო დაამძიმა თბილისური ე.წ. „ცათამბჯენების“ აშენებამ.

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გარემოს დაცვის სამინისტროს დამოუკიდებელი ექსპერტი ირაკლი მიქაძე For.ge-სთან საუბარს შორეული წარსულიდან იწყებს, როცა მტკვარი დღევანდელ ნიშნულზე ბევრად უფრო მაღლა მიედინებოდა.

— 13 ივნისის ტრაგედიას არაერთი გამაფრთხილებელი ნიშანი უსწრებდა: საბჭოთა პერიოდში მდინარე ვერეს ხეობა არაერთგზის დაიტბორა, 4 ივნისს კიდევ ერთი განგაშის ნიშანი იყო ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფრის განადგურება. თუმცა, ამ მოვლენებს გაცილებით ადრეული წინარე ისტორია აქვს, რაც წყლის მთავარ არტერიას — მდინარე მტკვარს უკავშირდება.

— ეს პროცესი მილიონი წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ადრე თბილისის ტერიტორია მთაგორიანი გახლდათ, მახათას და მამა დავითის ქედების სიმაღლეზე მოდიოდა მტკვარი. ეს არის 620 მეტრის სიმაღლე, მაგრამ, რადგანაც მტკვარს აქ შეხვდა არამდგრადი ქანები, ძალიან სწრაფად დაიწყო მდინარემ ხეობის ჩაჭრა და შექმნა ღრმა კანიონი. ეს ხეობა დაახლოებით 400 და 500 მეტრის სიღრმისაა. წარმოიდგინეთ, 620 მეტრს 400 მეტრი რომ გამოვაკლოთ, სწორედ ამხელა მონაკვეთის ჩაჭრა მოხდა. როდესაც ჩაიჭრა მდინარე, მისი კალთები (ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთა) ეროზიის ქვეშ მოექცა. წელიწადში 540 მილიმეტრის ოდენობით ატმოსფერული ნალექები მოდიოდა, ამიტომ მოხდა ამ კალთების ეროზირება, ჩაჭრა და ხევების თუ პატარა მდინარეების წარმოქმნა, რამაც ძალზე დაასუსტა ეს ადგილები. ფაქტობრივად, აქ დიდი კანიონებია, ამიტომ ცხადია, ასეთ სენსიტიურ თიხებში, ქვიშაქვებში წარმოიშვა უამრავი მეწყერი, რომელიც უკვე ათასეული წლებია, არსებობს.

— არის ქალაქები, სადაც, როცა შენიშნეს, რომ ბუნების კანონზომიერება ირღვეოდა, საერთოდ აიკრძალა ავტომანქანების გადაადგილება. ფაქტობრივად, სატრანსპორტო არტერიის გაყვანას შევწირეთ ადამიანების სიცოცხლე, გავჭერით კლდე ვაკე-საბურთალოს გზაზე, მდინარე მოვაქციეთ გოფრირებულ მილში, გავაკეთეთ ესტაკადა... გამოსავალი მანქანების შემცირებაა?

— მანქანების შემცირება კარგია, მაგრამ აქ უპირველესი პრობლემაა, რომ მდინარე ვერე უნდა გათავისუფლდეს ამ გვირაბებისგან. იცით, რომ გმირთა მოედანი დიდ გვირაბზე მდებარეობს? თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი გზა შედის და გამოდის გმირთა მოედანზე და ქვეშ კიდევ მას წყალი აქვს, გვირაბი აქვს, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. მდინარე ვერეს უდიდესი ნაწილი გვირაბებში მოაქციეს, აქეთ კიდევ ვარაზისხევი და სახლებია, იქვე ზოოპარკი ააშენეს ჭალაში. ეს დიდი უპასუხისმგებლობაა, ეს უცოდინრობის მწვერვალია. ვაკე-საბურთალოს კლდეს რაც შეეხება, ეს არტერია საჭიროა, მაგრამ ხომ უნდა გვახსოვდეს, რომ ბუნებაში ყოველ ჩარევას აქვს დადებითიც და უარყოფითიც. ეს უნდა შეფასებულიყო, იქნებ, სხვა გზა მოენახათ და არ გაეჭრათ ეს კლდე?! კლდის გაჭრა იმდენად არაა პრობლემური, რამდენადაც კლდის ქვეშ გვირაბში მდინარის გატარება. როდესაც მდინარე ვერე მოაქციეს რამდენიმე გვირაბში, პირველი გვირაბი — ანუ მთავარი გვირაბი სწორედ სვანიძის ქუჩასთან არის. ეს ყველაზე არასწორადაა გაკეთებული. ეს მოხდა საბჭოთა პერიოდში. უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ თბილისი მდებარეობდა არამდგრად ქანებზე, თიხის, ქვიშაქვების შუა შრეებით, რომლებიც დამეწყრილია. განსაკუთრებით, დიდი მეწყერია მდინარე ვერეს ხეობაში. დიდმა მეწყერმა, რომელიც ახალდაბა-ბეთანიის გზაზე მოხდა 13 ივნისის შუაღამეს, ჩახერგა ეს გვირაბი. მილიონობით ტონა კუბური მეტრი მიწის მასები მოწყდა და ჩამოვიდა ხეობაში, თავის ხეებიანად, თვითონ ვერეს ხეობა დაბინძურებულია, ეს ყველაფერი მიაწყდა გვირაბს და ჩაიხერგა.

— საერთოდ, თბილისის გაშენება ეროზირებულ ქანებზე გონივრული იყო?

— თბილისის აქ გაშენება შეცდომა არ იყო, მაგრამ შეცდომა დაუშვეს, როცა მდინარე მტკვრის შენაკადები მოაქციეს გვირაბებში. ეს არის მდინარე ვერე, ვარაზისხევი, დაბახანის ხევი...

— მაგრამ მოგვიანებით დაბახანა ხომ გაათავისუფლეს ამ მარწუხებიდან?

— დიახ, ბეტონი მოხადეს და მან რეკრეაციული დატვირთვა მიიღო. კარგია, რომ ასე გაკეთდა, მაგრამ იქაც, ზემოთ მეწყერებია ხეობაში. არა მარტო ეს ადგილები, საერთოდაც, თბილისის გარეუბნებში და თვითონ თბილისში 60-მდე მეწყერია. ავიღოთ ვაკის ცნობილი მეწყერი, რომელიც მარჯვენა კალთებზეა. იცით, ამ მიდამოებში როგორი ურბანული მშენებლობა მიმდინარეობს? ატენის ქუჩიდან შესულნი არიან და ამ მეწყრულ სხეულზე სახლებს ქვევით აშენებენ და აშენებენ. ეს დაუშვებელია.

— ატენის ქუჩაც ერთ-ერთი რისკის ზონაა?

— რა თქმა უნდა, ამისთანა რისკის ზონა რამდენიმეა. ამჟამად თბილისში ყველაზე აქტიური მეწყრული ზონებია — მთაწმინდის მთის ჩრდილოეთ ფერდობი, იმავე მამა დავითის მთა, ნუცუბიძის პლატო, მუხათგვერდის მთის ფერდობები, მდინარე ვერეს მარჯვენა სანაპიროს გაყოლებაზე არსებული დიდი ტერიტორია, დაწყებული თამარაშვილის ქუჩიდან ვარაზისხევამდე. ეს არის ვაკის მეწყერი; სოფელ გლდანის მახლობლად, სადაც არის ხევძმარის ხეობა და სხვები. დიდი შეცდომა დაუშვეს შევარდნაძის დროს, რაც გაგრძელდა სააკაშვილის და ახალი მთავრობის პერიოდში. 2000 წლის შემდეგ გარემოს ეროვნული სააგენტოს მოვალეობაში აღარ შედის ქალაქ თბილისის ტერიტორიის შესწავლა-ანალიზი და მონიტორინგი ბუნებრივი კატასტროფების მდგომარეობის კუთხით. არადა, ეს სააგენტო იკვლევდა მეწყრებს და იძლეოდა რეკომენდაციებს.

— 60-იან წლებში სწორედ ადიდებული ლეღვთახევი (დაბახანა, იგივე წავკისის წყალი) შევარდა აბანოებში და ხალხი დახრჩო.

— იქაც მეწყერი წარმოიქმნა, მეწყერი რომ არ ყოფილიყო, არაფერიც არ მოხდებოდა. ახლაც გაივლიდა წყალი, ვერეს გვირაბი გაატარებდა, მაგრამ მეწყერი რომ წამოვიდა, ჩახერგა, ამან გამოიწვია უბედურება. ესტაკადას ეს არ გამოუწვევია. უბრალოდ, ესტაკადა არასწორად იყო გაკეთებული და ესტაკადის სწორედ ის არასწორი ნაწილი წაიღო წყალმა.

— მეცნიერთა ნაწილი დაუყოვნებლივ მოითხოვს მდინარე ვერეზე კაშხლის აშენებას. ისინი აცხადებენ, რომ წყლის ნაკადს ვერც ერთი გვირაბი ვერ შეაჩერებდა და მსგავსი სტიქიის შესაჩერებლად მსოფლიოში ერთადერთი მეთოდი არსებობს — კაშხალი. აიტანს მდინარე ვერე ექსპერიმენტებს?

— ეს არის V-ს მაგვარი ხეობა, სულ ხეობის სიგრძე 45 კილომეტრია, მეტი არ არის. 45 კილომეტრში რა დამცავი ჯებირები და შემაკავებლები უნდა გაკეთდეს? აქ ძალზე არამდგრადი ქანებია, დიდი ქარაფებია. აქ რომ განალაგო ასეთი საინჟინრო ნაგებობები, ჯერ გზა უნდა გაიყვანო, კიდევ უნდა დატვირთო, მანქანები შეიყვანო, შემდეგ ეს როგორ იმოქმედებს გარემოზე? იქიდან რომ კიდევ წამოვიდეს ღვარცოფი და მოხდეს მეწყერი, ამას შეაკავებს ის ნაგებობები? ხომ უცბად გადათელავს ამ ნაგებობებს და გადაუვლის. ასე კონკრეტულად და გადაჭრით ვერ ვიტყვი, მაგრამ კაშხლის საკითხს კარგი შესწავლა სჭირდება. ჯერ უნდა გაკეთდეს ამ ნაგებობების პატარა მოდელი, არამდგრადი ქანებიც გაითვალისწინონ, მეწყერის მოდელირებაც გააკეთონ და ამის შემდეგ გადაწყვიტონ, კაშხალი საჭიროა თუ არა. თორემ პირდაპირ ამის გაკეთება არ არის მეცნიერული, ეს ნაუცბათევია, როგორც ადრე ხდებოდა.

— თქვენ ყვარლის მოსახლეობასაც აფრთხილებთ, რადგან დურუჯი პრობლემატური მდინარეა.

— დურუჯი ყველაზე სენსიტიური მდინარეა. თიხნარის გარდა, აქ პრობლემაა ისიც, რომ მდინარეს დიდი ქვები მოაქვს. წარმოიდგინეთ, იქ ასეთი კოკისპირული წვიმა რომ მოვიდეს, ყვარელი საერთოდ აღარ იქნება. თვითონ გეოლოგებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, არსებობს ისტორიული გეოლოგია, საინჟინრო გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია. სახლი რომ შენდება, შეიძლება, გეოლოგს გამოუძახონ და იმ ადგილის დასკვნა სთხოვონ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა რეგიონალური გეოლოგის დასკვნაც, რომელიც მთელი რეგიონის თვალსაზრისით შეაფასებს მდგომარეობას და არა იმ წერტილის თვალსაზრისით.

მანანა ნოზაძე

დედამიწის ზურგზე

ჩინეთში მიწისძვრამ 3 კაცი იმსხვერპლა, 20-ზე მეტი კი დაზარალდა

მიწისძვრა 6,5 მაგნიტუდით მოხდა პარასკევს სინძიან-უიგურსკის ავტონომიურ რაიონში ჩინეთის გუმის მაზრის ჩრდილო-დასავლეთით. სეისმოლოგების შეფასებით, კერა 10 კილომეტრის სიღრმით იყო. უმალვე მიწისძვრის შემდეგ მოხდა კიდევ 1 მიწისქვეშა ბიძგის დაფიქსირება უფრო მცირე ამპლიტუდით, დაადგინეს სპეციალისტებმა.

* * *

მალაიზიამ აცნობა გაეროს უშიშროების საბჭოს თხოვნის შესახებ, შექმნას ტრიბუნალი რეისის მწ-17-ის ავარიის შესახებ

საკითხი შეეხება „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენას“ დამნაშავეთა მიმართ ბოინგის ავარიის გამო. რუსეთმა წინა დღით მიიღო ანგარიშის შავი პირი ჰოლანდიის ექსპერტების მხრიდან დონეცკის ოლქში ავიაკატასტროფის შესახებ. საბოლოო დასკვნებს ექსპერტები ოქტომბერში გამოაქვეყნებენ.

* * *

სულ ცოტა 7 კაცი დაშავდა ორი აფეთქების შედეგად კოლუმბიის დედაქალაქში

2 ბომბი ჩადებული იყო საპენსიო ფონდის შენობის მახლობლად ერთი-მეორის მიყოლებით. შედეგად ადგილობრივი მცხოვრებლებიდან არავის მიუღია ტრავმები. ინფორმაციისათვის აფეთქების შესახებ კოლუმბიის თავდაცვის სამინისტრო ჰპირდება ჯილდოს 100 მილიონი კოლუმბიის პესოს ოდენობით. მომხდარის წინ პოლიციამ მიიღო გაფრთხილება და მოახდინა შენობიდან მცხოვრებლების და მოსამსახურეების ევაკუაცია.

* * *

სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა უპასუხეს უკრაინელი ჟურნალისტის პრეტენზიებს: კონფლიქტი დონბასში შეიძლება, მივიჩნიოთ „სამოქალაქო ომად“

ალექსანდრ სევერინს არ მოეწონა ტერმინი „სამოქალაქო ომი“ სამხედრო- საჰაერო ძალების ჟურნალისტის გაბრიელ გეტტჰაუსის სტატიაში „უკრაინის კრიზისი: იანუკოვიჩი წუხს სისხლისღვრის გამო კიევში“, რომელიც გამოქვეყნდა სამხედრო-საჰაერო ძალების საიტზე. ჟურნალისტი დაბეჯითებით მოითხოვდა კორექტულობას ტერმინის „რუსული აგრესია“ გამოყენებაში.

* * *

იემენში ხუთდღიან ზავზე შეთანხმდნენ

საბრძოლო მოქმედებათა 3 თვის განმავლობაში დაიღუპა დაახლოებით 3 ათასი კაცი და 14 ათასზე მეტი დაიჭრა. სხვადასხვა სახის ჰუმანიტარულ დახმარებას საჭიროებს 21 მილიონზე მეტი იემენელი. მხარეებმა უკვე მოილაპარაკეს ზავის შესახებ მარტში, მაგრამ მისი გაგრძელება ვერ მოხერხდა.

◎ ფეხბურთი

ბრძოლები მოვიგეთ; ომები?..

თითქოს გუშინ იყო, „სევილიამ“ რომ „დნიპროს“ სძლია და მეოთხედ მოიგო ევროპის ლიგა. ანდალუზიელები 11 აგვისტოს თბილისში ჩამოვლენ და „ბარსელონასთან“ კონტინენტის სუპერთასს გაითამაშებენ — მთავარია მანამდე ჩვენივე ბედოვლათობით გაჯანჯლებული ბილეთების გაყიდვის საკითხი მოგვარდეს.

ვიდრე უეფა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და საბედისწერო საიტი „ბილეთები ჯი“ აბრაკადაბრათი არიან გართულნი, ძველ სამყაროში ახალი საკლუბო სეზონი დაიწყო— საკვალიფიკაციო რაუნდში ქართული ტრიო ჩაება.

„დინამო“ — „გაბალა“ 2:1 (0:0)

გოლები: ჯიღაური, პაპუნაშვილი; ჰუსეინოვი.

ახლახან აზერბაიჯანმა ტრიუმფით უმასპინძლა პირველ ევროპულ თამაშებს. ბაქოდან ჩამოსული ჩვენი კოლეგები აღტაცებას ვერ მალავენ — ეს რა ზღაპარში ვიყავითო. ჰოდა, ნურც პროვინციული „გაბალას“ კერკეტკაკლობა გაგვიკვირდება — მთელი იქაური სპორტისა არ იყოს, წლეულს დაწინაურებულ საფეხბურთო კლუბშიც ხომ შთამბეჭდავი ინვესტიცია განხორციელდა, დიდი ფულის ჩადება და გონივრულად განკარგვა კი, მოგეხსენებათ, საბოლოო წარმატების წინაპირობაა.

რაც შეეხება „თეთრ-ლურჯებს“, გია გეგუჩაძე საკუთარი ტაქტიკური კრედოს ერთგული რჩება და შეგირდებს შემტევ ფეხბურთს ათამაშებს, თუმცა, აშკარაა, რომ ჯერ კიდევ ამოსავსებია დაცვაში, განსაკუთრებით კი მის მარცხენა ფლანგზე არსებული ვაკუუმი, თანაც ბიჭებს შეთამაშება აკლიათ.

აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში მინდვრიდან უსამართლოდ გაძევებული გველესიანის გამო რიცხვნაკლულებმა გავიმარჯვეთ აგრეთვე ისიც, რომ 18-წლიანი პაუზის შემდეგ დიდუბეში პირველად გამოვიდა სარბიელზე უბერებელი ალექსანდრე იაშვილი, რომელმაც საგრძნობლად გამოაცოცხლა შვილისტოლი პარტნიორები.

და ბოლოს: მართალია, ბურთი კიდევ ორჯერ მოხვდა სტუმართა კარის ძელს, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არანაკლებ სახიფათო მომენტები მეტოქემაც შექმნა, ასე რომ, ძნელი სათქმელია, რამდენად საკმარისი იქნება მორიგ ეტაპზე გასასვლელად შინ მოპოვებული მინიმალური უპირატესობა.

„ბათუმი“ — „ომონია“ (კვიპროსი) 1:0 (გაბედავა).

„ბოტოშანი“ (რუმინეთი) — „ცხინვალი“ 1:1 (კაჭარავა).

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

შენირული ლოპესი და სარეიტინგო 90 ქულა

უიმბლდონის ტურნირზე წარმატებით თამაშობს საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი, 23 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილი. ჩვენმა სპორტსმენმა საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი შეხვედრა მოიგო, ძირითად ბადეში კი ორი გამარჯვება იზეიმა. მეორე წრეში მან მსოფლიო რეიტინგის მე-16 ადგილზე მყოფ 33 წლის ესპანელ ფელისიანო ლოპესს გაუწია ღირსეული მეტოქეობა. პირველი ხელი ჩვენებურმა მოიგო — 7:5, მეორეში პირენეელმა წონასწორობა აღადგინა (6:3), მერე ისევ ბასილაშვილი დაწინაურდა (6:3), ლოპესმა ანგარიშის გათანაბრება (6:2) შეძლო, მაგრამ მატჩში გარდატეხა ვეღარ შეიტანა — მეხუთე გადამწყვეტ სეტში ქართველმა ჩოგბურთელმა მრისხანე მოწინააღმდეგეს წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურა — 6:4 გაიმარჯვა და მეთექვსმეტედფინალში გავიდა, სადაც მსოფლიო რეიტინგის მე-20 ნომერს, კიდევ ერთ ესპანელ რობერტო ბაუტისტა-აგუტს დაუპირისპირდება. ეს ორთაბრძოლა დღეს გაიმართება. ძირითად ბადეში ორი წარმატებით ბასილაშვილმა 90 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა, რაც კლასიფიკაციაში 153-ე ადგილზე მყოფ ქართველს საგრძნობლად დააწინაურებს.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: ნიკოლოზ ბასილაშვილი.

◎ თუ გული გულობს

დავუბრუნდეთ სოფელს, სპორტის ვეტერანებო!

ხშირად მომისმენია და ზოგჯერ წონასწორობაც დამიკარგავს, რაც ჩემი დედულეთის — თეთრი წყაროს შესახებ გამიგია. მას რატომღაც ხან წითელწყაროსთან აიგივებენ, ან მარნეულის და წალკის მხარედ მიიჩნევენ. არა, ძმებო და დებო, თეთრი წყარო უძველესი გარისის ცენტრს წარმოადგენს და ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბევრი სახელოვანი ფურცელი სწორედ აქ დაიწერა. რად ღირს თუნდაც დიდგორი და ადრეულ შუა საუკუნეებში აქ გათამაშებული ისტორიული მოვლენები. თუ ფრანგი ერი ლუდოვიკო XIV-ს „მეფე მზის“ სახელით მოიხსენიებს, ჩვენ, ქართველებს სრული უფლება გვაქვს მისი დამსახურებისდა მიხედვით, დავით აღმაშენებელს მზეთამზე ვუწოდოთ. სწორედ თეთრი წყაროს რაიონის ამჟამინდელ ტერიტორიაზე იყო, ურიცხვ მომხვდურს კუდით ქვა რომ ასროლინა ჩვენმა შეუდარებელმა წინაპარმა.

გმირული ისტორიული წარსულით აღელვებულმა თემას ოდნავ გადავუხვიე და, თქვენის ნებართვით, ამჟამინდელ ცხოვრებისეულ რეალობას დავუბრუნდები. დედაჩემის მშობლიურ სოფელ საღრაშენში ერთ-ერთი სტუმრობისას შევამჩნიე ძველი კლუბის შენობა, რომელსაც, სამწუხაროდ, აშკარად ეტყობოდა, რომ ფუნქცია კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა. ვიფიქრე, სათანადო რემონტით, ოდნავი ხელშევლებით გამორიცხული არ იყო ნორმალური სპორტული ბაზა მიგვეღო. დავტრიალდი, ავამოქმედე ჩემი ავტორიტეტი, ნაცნობ-მეგობრების წრე და რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით იდეას ხორცი შეესხა. მივიტანეთ საჭიდაო ლეიბი და სავარჯიშოდ საჭირო რამეები. მწვრთნელის მოძებნა გაგვიჭირდა, რადგან პატრიოტულ გრძნობებს ყველას ვერ მოსთხოვ და ასორმოცდაათ ლარად მუშაობასაც ვერავის დაავალდებულებ.

ისევ ძველმა, გამოცდილმა გვარდიამ გვიხსნა: მამაჩემმა, ჯემალ ნოზაძემ — სტაჟიანმა პედაგოგმა და სპორტის ოსტატმა 1964 წლიდან, თბილისის პარკებში პენსიონერებისთვის ეგზომ დამახასიათებელ დომინოს ჭახაჭუხს ამ სიმბოლურ ხელფასზე მუშაობა ამჯობინა. ადგილობრივ მცხოვრებლებში იყო გარკვეული ეჭვის მომენტები. იფიქრეს, როგორც უწინ არაერთხელ მომხდარა, შარლატანი, ვითომ კარატეს ცნობილი გურუები და ცეკვის ვირტუოზები სჩადიოდნენ, ორიოდე მეცადინეობის შემდეგ წინასწარ რამდენიმე თვის გადასახადს აკრეფდნენ და უკვალოდ უჩინარდებოდნენ ხოლმე, ახლაც ასე მოხდებაო.

ეჭვი მალე გაიფანტა. ჩემმა მშობელმა იმთავითვე ყოველგვარი გადასახადი გააუქმა, რადგან კარგად მოეხსენებოდა: როცა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ფული ფიგურირებს, იქ რაიმე სერიოზულ აღზრდაზე ლაპარაკი არ არის. ეს არის უბრალო ჭეშმარიტება — სპორტი და მით უმეტეს მისი ძალოვანი სახეობები, რომელსაც ჭიდაობაც მიეკუთვნება, ჩვენი საზოგადოების მოკრძალებული, მცირე შემოსავლების მქონეთა საქმეა და ნებისმიერი გადასახადი, განსაკუთრებით სოფლად, მძიმე ტვირთად აწვება თითოეულ მათგანს, რაც, ჩემის ღრმა რწმენით, ხშირად იწვევს ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდების გულის აცრუებას და ყოველგვარი სპორტული საქმიანობისაგან სამუდამოდ ჩამოშორებას.

შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს კითხვა, მაინც რისთვის დაიწერა ეს წერილი, რა მიზნებს ემსახურება. სხვებისას ვერაფერს მოგახსენებთ, აი სპორტის ვეტერანებზე კი გავბედავ და ორიოდე სიტყვას ვიტყვი. დღეს დედაქალაქი სავსეა რაიონებიდან გადმოხვეწილი გაჭირვებული ხალხით, მათ შორის ბევრია წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენი, რომლებიც სხვათა წამხედურობით თუ ოჯახის წევრების გაუთავებელი ბუზღუნის შედეგად საკუთარ ფესვებს მოსწყდნენ. მართალია, აუარება ხელმძღვანელ მუშაკს დღენიადაგ მისაღებებს უტალახებენ, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, საშველი არადა არ ჩანს, ქვეყანაში სამუშაო ადგილების მწვავე დეფიციტია და ამიტომ სულ უფრო ემგვანებიან ჩვეულებრივ ლუმპენ პროლეტარებს.

ნუთუ ჭარმაგი მამაჩემის მაგალითი (რომელიც, სხვათა შორის, მეხუთე თაობის თბილისელი გახლავთ) არაფერზე მიგანიშნებთ და ზოგიერთებში მაინც პატრიოტულ გრძნობას არ გააღვივებს?! რაც შეეხება სოფლად არსებულ რესურსებს, გარწმუნებთ: თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევა. ჩვენი სოფლის ანალოგიით ფართობიც მოიძებნება და ბავშვთა კონტინგენტიც ადვილად შეგროვდება. მთავარია საკუთარი ერი წრფელი გულით გიყვარდეს და მინდობილ საქმეს უანგაროდ ემსახურებოდე.

წარმოგიდგენთ სურათს, რომელზეც გამოსახული არიან მამაჩემის აღსაზრდელები — საღრაშენის ირგვლივ მდებარე შვიდი სოფლის წარმომადგენლები. ეს მათი მცირე ნაწილია. დანარჩენი, ჯგუფის დიდი ნაწილი, დაკავებულია მშობელთა მხარდამხარ შრომით. ჩემმა მშობელმა ცხრა წლის განმავლობაში კარგად აუღო ალღო სოფლის სპეციფიკას და არასოდეს ენა არ მოუბრუნდება, ყოველდღიური შრომის ნაცვლად თითოეულ აღსაზრდელს აუცილებლად ვარჯიშზე დასწრება მოსთხოვოს. ნუთუ ამ სურათის ხილვის შემდეგ რომელიმე ქართველს კიდევ თუ გაუჩნდება კითხვა ალგეთს მგლის ლეკვების დაზრდის შესახებ?!.

დიდი ფანტაზიის მქონე არ უნდა იყოს ადამიანი, უმალ რომ არ მიხვდეს: ეს ბიჭები სწორედ იმ დიდებული ქართველების შთამომავლები არიან, ვინც დიდი დავით აღმაშენებლის დროშებით იბრძოდნენ და სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის სიცოცხლეს არ იშურებდნენ.

რამაზ ნოზაძე,
მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი

სურათზე: ჯემალ ნოზაძე აღსაზრდელებთან.

◎ ჭადრაკი

ხოტენაშვილის უპირატესობით

მარცხნიდან — ინგა ჭარხალაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს გრან პრის მეორე ეტაპი სწრაფ ჭადრაკში ქალთა შორის. შეჯიბრებაში სხვადასხვა კუთხის 24 წარმომადგენელი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. შესანიშნავად ითამაშა საქართველოს ნაკრების წევრმა ბელა ხოტენაშვილმა, რომელმაც მე-8 ტურში სოფიო გვეტაძის დამარცხებით გაინაღდა პირველი ადგილი. ამავე ტურში ლელა ჯავახიშვილმა სალომე მელიას აჯობა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ბოლო ტურში ლიდერები მეტოქეებს დაუზავდნენ: ხოტენაშვილი — მერი არაბიძეს, ჯავახიშვილი — გვეტაძეს, ინგა ჭარხალაშვილმა ანა გავაშელს მოუგო, ნათია ჯანჯღავამ კი ნინო მაისურაძეს სძლია.

ამდენად, 9 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი ხოტენაშვილს ერგო. 6-6 ქულით, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები ჯავახიშვილმა, ჭარხალაშვილმა და ჯანჯღავამ გაინაწილეს. გამარჯვებულს 500, მეორე-მესამეადგილოსნებს კი 300 და 200 ლარი ხვდათ.

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

არგენტინის გამარჯვება ბელენს გააშიშვლებს

რამდენიმე დღის წინათ ცნობილი ლამაზმანი, მოდელი, მსახიობი, სექს-ბომბა, არგენტინის საფეხბურთო ნაკრების თილისმა და უბრალოდ კარგი ოჯახიშვილი და თბილი პიროვნება ბელენ როდრიგესი კიდევ ერთხელ მოექცა ბულვარული მედიის თვალთახედვის არეში.

ბელენ როდრიგესმა საზოგადოებას შეახსენა მისი შარშანდელი დანაქადნები, თუკი არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, დღისით, მზისით, შუა ბუენოს-აირესში ტიტლიკანად გავტანტალდებიო და დასძინა, რომ მისი ეს პირობა ძალაში კოპა ამერიკაზე გამარჯვების შემთხვევაშიც დარჩება.

როგორც იცით, სამხრეთ ამერიკის უპირველეს საფეხბურთო ტურნირზე არგენტინელები ფინალში არიან გასულები და თუკი მათ შეძლეს და დღეს მასპინძელ ჩილეს მოუგეს, ბელენ როდრიგესისგან პირობის ასრულებას და მის მკერდ-ბარძაყთა გამომზეურებას უნდა ველოდოთ. ამის მერე მოდი და ჩილესკენ იყავი...

როსტომ რაჭველიშვილი

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვიქტორია ეზუგბაიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვიქტორია ეზუგბაია (პირადი №62006057657), მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-2 კვარტალი, კორპუსი 20, ბინა 18;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-2 კვარტალი, კორპუსი 20, ბინა 18, 74.02კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.14.03.020.003.01.018).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10439.90 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2015 წლის 4 ივლისი, 12:00 საათი;

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2015 წლის 17 ივლისი, 11:00 საათი;

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge;

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის № 71271HZP24017915;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 240179

6. **მოვალე:** ვიქტორია ეზუგბაია (პირადი №62006057657), მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-2 კვარტალი, კორპუსი 20, ბინა 18;

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

8. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის № 71271HZP24017915; ლოტის ნომერი: 240179).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2015 წლის 16 ივლისის, 12:00 საათამდე წარადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჰასან ქაბადაის და შპს ‘დომუს დეველოპმენტის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჰასან ქაბადაი (პ/ნ 16127118108), თურქეთის რესპუბლიკა, სტამბოლი, ქალითჰანე, მეჰმედ აქიფ ერსოის უბანი, იაფრაქის ქ. №16/1;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ცაბაძის ქ. №8-ბ, ფართი №344, 408.30კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.13.07.020.052.01.344).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჰასან ქაბადაი (პ/ნ 16127118108), თურქეთის რესპუბლიკა, სტამბოლი, ქალითჰანე, მეჰმედ აქიფ ერსოის უბანი, იაფრაქის ქ. №16/1;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, თარხნიშვილის ქ. №17/აკაკი ხორავას ქ. №4, ავტოსადგომი 21.34კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.15.02.021.005.01.511).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

3. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჰასან ქაბადაი (პ/ნ 16127118108), თურქეთის რესპუბლიკა, სტამბოლი, ქალითჰანე, მეჰმედ აქიფ ერსოის უბანი, იაფრაქის ქ. №16/1;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, თარხნიშვილის ქ. №17/აკაკი ხორავას ქ. №4, სართული 5, საერთო ფართი 185.70კვ.მ., საზაფხულო ფართი 20.80კვ.მ., ჰოლი 7.31კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.15.02.021.005.01.510).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

4. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დომუს დეველოპმენტ“ (ს/ნ 205210261), თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33ა;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2 (ნაკვეთი №3/47), D ბლოკი, სართული 6, ბინა №69 (საკადასტრო კოდი: 01.14.08.003.047.01.069).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

5. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 1932919,30 ლარი;

6. **უძრავი ნივთების რეალიზაციის წესი:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხდება ერთ ლოტად;

7. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 7 აგვისტო, 11:00 საათი;

8. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

9. **მოვალეები:**
შპს „მგგს საქართველო“ (ს/კ 205099212), თბილისი, ჩაჩავას ქ. №8;
ივანე მესხი (პ/ნ 01009007738), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
რევაზ მესხი (პ/ნ 01008047730), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
შპს „მულტი სალარო“ (ს/კ 205167004), თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ., №25, ბინა 57.

10. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

11. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 7 აგვისტოს, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

სულთათანა

შუქრი აბრამიძე

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტმა, და საერთოდ, საქართველოს ფიზიკოსთა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი **შუქრი აბრამიძე**.

ბატონი შუქრი გახლდათ რეაქტორების ფიზიკის ცნობილი სპეციალისტი. ის აქტიური მონაწილე იყო მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის 1959 გაშვებული ამიერკავკასიაში პირველი კვლევითი რეაქტორის აგებისა და საერთოდ, გამოყენებითი ბირთვული კვლევების ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოში. ათწლეულების განმავლობაში შუქრი აბრამიძე ხელმძღვანელობდა ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვულ ცენტრს. ის წლების განმავლობაში იყო მეცნიერებათა აკადემიის ატომური ენერგიის კომისიის წევრი, სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა აკადემიის ბირთვული ენერგიის და რადიაციული უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოსთვის უმძიმეს 90-იან წლებში მან, ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან ერთად, თავის თავზე აიღო ბირთვული ცენტრის უსაფრთხოების საკითხი, პირნათლად განვლო ეს მძიმე პერიოდი და ცენტრს თავისი სახე შეუნარჩუნა. განუსაზღვრელია მისი ღვაწლი ბირთვული რეაქტორის ექსპლუატაციიდან გამოყვანასა და კონსერვაციასთან დაკავშირებული უნიკალური სამუშაოების შესრულებაში. რეაქტორის აქტიური ზონის დაბეტონების შუქრი აბრამიძის მიერ, კოლეგებთან ერთად შემუშავებულმა ახალმა მიდგომამ აღიარება და სრული მხარდაჭერა მოიპოვა ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანოაზაციის მხრიდან.

ბატონმა შუქრიმ 1955 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და მაშინვე მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ახლად დაარსებულ ინსტიტუტში. პირველივე დღეებიდან ჩადგა ბირთვული კვლევების ავანგარდში. ის ახალგაზრდული ენთუზიაზმი, რაც დამახასიათებელი იყო მისთვის და იმ თაობის ფიზიკოსებისათვის, სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია. მნიშვნელოვანია ბირთვულ რეაქტორში თბოგადაცემის რეჟიმის გაუმჯობესების მიმართულებით შუქრი აბრამიძისა და აკადემიკოს ვახტანგ გომელაურის მიერ გასული საუკუნის 60-ან წლებში მიღებული შედეგები, რომელთაც ფართო საერთაშორისო არიარება მოიპოვეს.

ბატონი შუქრი იყო გამორჩეული პიროვნება, მოყვასისადმი კეთილგანწყობილი, მიმტევებელი, ამავდროულად პრინციპული და თავისი საქმის უანგაროდ ერთგული. ის იყო პირველი ქართველი საბჭოთა გენერლის პავლე აბრამიძის ვაჟი, თავისი ოჯახის ღირსეული შვილი, ქვეყნის, ინსტიტუტის, ქართული მეცნიერების დიდი პატრიოტი.

შუქრი აბრამიძის ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეშუმერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი.

თამაზ, მარინა შილაკაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ და

ასინეთ (ნონა) შილაკაძე

პანაშვიდი 3, 4 VII, ცინცაძის ქ. №50 (ყოფილი საბურთალოს ქ. 44), II სადარბაზო, IV სართული. გამოსვენება 5 VII, 14 სთ. სახლთან მდებარე წმინდა ანტონ მარტყოფელის ეკლესიიდან.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სამძიმარს უცხადებს საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერ-მეგზევეს, აკადემიკოს თამაზ შილაკაძეს დის, ქალბატონ

ასინეთ (ნონა) შილაკაძის

გარდაცვალების გამო.

მერაბ ბერძენიშვილი

ამინდი

საქართველოში 12 ივლისის ჩათვლით წვიმაა მოსალოდნელი

როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსმა, სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა, დღეიდან 12 ივლისის ჩათვლით, დასავლეთ საქართველოს უმეტეს და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში, პერიოდულად მოსალოდნელია სეტყვა; 6 ივლისს კი ქარი გაძლიერდება. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, თბილისშიც იქროლებს ქარი, რომლის სიჩქარე წამში 17-22 მეტრი იქნება.

12 ივლისის ჩათვლით, დასავლეთ საქართველოში, ჰაერის საშუალო ტემპერატურა 25-30 გრადუსი იქნება, აღმოსავლეთ საქართველოში კი 30-35 გრადუსი.

ᲔᲠᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ

13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ - ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲐᲛ ᲒᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲦᲕᲠᲘᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲢᲠᲤᲘᲐᲚᲐᲓ ᲒᲐᲣᲩᲜᲘᲐ, ᲛᲐᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲔᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲙᲘ 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲓᲐᲐᲬᲔᲠᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲜᲐᲦᲕᲐᲠᲪᲝᲤᲔᲕᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲔᲠᲙᲘᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲥᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ.

ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲔᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲑᲘᲚ (ᲗᲣ ᲒᲠᲘᲚ) ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲨᲣᲑᲚᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲘᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲚ ᲣᲓᲐᲕᲝᲓ ᲜᲘᲭᲘᲔᲠ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲘᲐ. ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲓᲐᲛᲔᲬᲧᲠᲘᲚᲘ ᲛᲣᲖᲘᲡ ᲙᲕᲜᲔᲡᲐᲐ.

იმიტომ წამოვიდა წვიმა,
წინასწარ უტირია თბილისს,
სუნთქვა გაატანა წყვილმა
სისხლით გალუმპულ ივნისს.
მორევში აიზილა გრძნობა,
გრძნობა არგაშვება ხელის,
სახლების თავდაყირა წყობა,
დაუდევრად საქციელი ბედის.
ქალაქს გაუჩერდა გული,
წამით შეიკავა სუნთქვა,
„მაგალითად, ჩვენი
სიყვარული“ –
იმ წყვდიადში ბიჭმა
გოგოს უთხრა...
სწორედ აქ გაიხა ცა და
გაიფანტა ოცნებები ბიჭის,
მან სამყაროს გადარჩენა სცადა,
სამყარო კი ერთ მდინარედ
მიდის.
ძირი ჩამოენგრა ქალაქს,
ერთადერთი, რაც
სუფთაა – წვეთი,
ტანჯვით გაჯერებულ ტალახს,
მჯერა, ვიცი, მოსწმენდს ღმერთი.
ველარ გაარჩევდი თვალით
ცაში ანგელოზს და გოგოს,
აღარც დაუტოვა კვალი,
თვალებს მოეფარა როგორც,
სისხლით გალუმპულ ივნისს
სუნთქვა გაატანა წყვილმა...
წინასწარ უტირია თბილისს,
ამიტომ წამოსულა წვიმა...

ᲑᲘᲭᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲔᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ - ᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑᲘᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲝ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ, ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲔᲑᲡ, ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲡ – ᲐᲠᲩᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑᲡ.

ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲔᲑᲡ ᲐᲠᲩᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲨᲝᲠᲔᲑᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲔᲤᲔ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲢᲔᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲝᲮᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲕᲘᲧᲐᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ – ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲓᲐ...

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲛᲢᲠᲔᲑᲛᲐ, ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘ ᲐᲬᲐᲛᲔᲡ (ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲔᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ...)

ᲐᲚᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ 20 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲠᲮᲕᲐᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲘᲩᲠᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲗᲐ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ, ᲐᲜᲢᲝᲜ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲢᲐᲜᲘᲐ...

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

– ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ვერ მივაჩვიე ჩემი მოშე წესრიგს, – ეწუწუნება სარა თავის დაქალს, – იგი ყოველ ჯერზე თავის საფულეს ახალ ადგილას მალავს.

* * *

– ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ, რა დაგეხმარათ წარმატების მიღწევაში? – ეკითხება ჟურნალისტი მილიარდერს.

– იმის რწმენა, რომ ფული, თავისთავად, რაიმე განსხვავებულ როლს არ ასრულებს. მთავარია მხოლოდ სამუშაო.

– და ეს დაგეხმარათ გამდიდრებაში?

– არა, მე გავმდიდრდი მას მერე, რაც შევძელი ამაში ჩემი ხელქვეითების დარწმუნება.

* * *

– ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ხალხია მსოფლიოში ყველაზე ბრიყვი? – ეკითხებიან ჩუქჩას.

– ქართველები!

– რატომ?

– რამდენი ხანია, ვეჩიჩინები ჩემს მეზობელ ქართველს, ნუ დადიხარ ჩემს ცოლთან-მეთქი, მაგრამ არ ესმის...

* * *

– ᲗᲥᲕᲔᲜ გათავისუფლებული ხართ სამსახურის სისტემატურად გაცდენისთვის...

– თითქოს არასისტემური გაცდენისთვის არ გამათავისუფლებდით, არა?

* * *

ᲝᲠᲘ ამერიკელი, ზანგი და თეთრკანიანი, რუსეთში ჩავიდა.

– მოდი, ერთი ნაღდი რუსებივით მშენებლობაზე არყით გამოვტყვრეთ! – ეუბნება ზანგს თეთრკანიანი.

დალიეს. ზანგი გაითიშა. თეთრკანიანმა იგი მხარზე გაიდო და მიდის.

– სდექ! – უყვირის მშენებლობის დარაჯი.

– ჰელოუ! – ეუბნება ამერიკელი.

– შენი ჰელოუ-მელოუ არ ვიცი, დადე რუბეროიდი თავის ადგილას!

* * *

ᲛᲐᲙᲘᲐᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ სიმპათიური ქალი ხელოვნების ნიმუშია, უმაკიაჟო სიმპათიური ქალი კი – ღვთის საჩუქარი.

ᲙᲐᲓᲠᲘ

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24